# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 30 მარტი. 2023 წ. №37 (9569) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ბათუმი, 28 მარტი



იხ. 10-11 გვ.

# „ხვიჩამიცინი“

**გიზო ზარნაძე:**

## პეპერას ბარათი ხვიჩა კვარაცხელიას

ჩემო ხვიჩა, დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა, უამრავი გეფერება და გექებადიდება, მაგრამ მინდა, ცოტათი მაინც ორიგინალური გამოვჩნდე და, რახან წერილში სნეულებები ვახსენე, შენ უკვე ხარ შესანიშნავი ახალი სამკურნალო პრეპარატი სახელწოდებით – „ხვიჩამიცინი“! თანაც, რა პოზიტიურადაც ჟღერს – „ხვიჩა, მიცინი“!

## მოვთოკოთ ემოციები!

**როინ მეტრეველი:**



იხ. 6-7 გვ.

## ზაურ ბოლქვაძე — სიყვარულის პოეტი

**ჰიდაიათ ჰუსეინოვი:**

## ჰეიდარ ალიევი არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ მსოფლიოს აზერბაიჯანელების ეროვნული ლიდერია!



იხ. 5 გვ.



იხ. 4 გვ.

## ნაცმოძრაობის ანასხლეტების კრახი!

## ჯილდო ბრეივიკისთვის...

ანდერს ბრეივიკის სამშობლოდან „ნულოვანი ტოლერანტობის“ ავტორს ჯილდო ერგო - სააკაშვილი ნორვეგიელმა მემარჯვენეებმა დააასაჩუქრეს

იხ. 3 გვ.



„ფრანკლინის კლუბის“, ლევან რამიშვილის და სხვათა ლიბერასტული ჭინთვები...

იხ. 2-3 გვ.

## ხელისუფალნო – გამოიძიეთ და დასაჯეთ, ვინც დასასჯელია!

## რუსეთი აშშ-ს განადგურებით ემუქრება!!!



იხ. . გვ.

## რა არის ტაქტიკური ბირთვული იარაღი?!



# გმადლობთ, მისტერ შარლ, ასეთი „ოპერატიულობისთვის“!

შარლ მიშელის თქმით, მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭომ 2023 წლის ბოლომდე უნდა მიიღოს.

**„ევროკომისიამ უნდა გამოაქვეყნოს შემდეგი ანგარიში ევროკავშირში გაწევრების პროცესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოსთვის ევროპულ პერსპექტივას, და ასევე დასავლეთ ბალკანეთს. მინდა, დავადასტურო, რომ მე ამ საკითხის დაყენებას ევროპული საბჭოს წინაშე ვაპირებ წლის ბოლოსთვის. ეს ნიშნავს, რომ წლის ბოლოსთვის საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქვეყნებთან ევროკავშირში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების პროცესის დაწყების საკითხზე. ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება იმ ანგარიშის გათვალისწინებით, რომელსაც ევროკომისია მოამზადებს. გულწრფელად მაქვს იმედი, რომ დადებითი გადაწყვეტილება შესაძლებელი გახდება წლის ბოლოსთვის“,** – განაცხადა შარლ მიშელმა. მისივე თქმით, ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე პროგრესი საგრძნობ და დადებით შედეგს მოუტანს მოლდოვის მოქალაქეებს.

**„მოლდოვა სულ უფრო ხშირად ხდება მტრული რუსული დაზვერვის სამიზნე. ბოლო თვეებში რუსეთი და მისი დაქვემდებარებულები სულ უფრო ხშირად ცდილობენ თქვენი ქვეყნის დესტაბილიზაციას და ამისთვის იყენებენ ენერგეტიკას, კიბერთავდასხმებს, ახდენენ საპროტესტო აქციების ინსცენირებას და სხვა ძირგამომთხრელ ქმედებებს მიმართავენ. ჩვენ ვგმობთ დესტაბილიზაციის ამ მცდელობებს“...**

# ოჰ, ეს ბინძური პოლიტიკა!..

**პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილის** მისამართით რიტორიკას მოულოდნელად და რადიკალურად ცვლის. მას „ოლიგარქს“ პირველად უწოდებს. „ტვ პირველთან“ ინტერვიუს დროს ჟურნალისტის კითხვაზე – არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი, ის პასუხობს: **„არის, ალბათ, კი“.**

თუმცა, პრეზიდენტის აზრით, ოლიგარქიის პრობლემა არის გაცილებით მეტი, ვიდრე ივანიშვილი.

ზურაბიშვილმა სააკაშვილის შეწყალებაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა: **„რას გააკეთებ და რას არ გააკეთებ, ეს არის ის, რაც შეიძლება იყოს რთული სხვების მიმართ, თორემ რას გავაკეთებ, ამაზე არც კის ვამბობ და არც არას და როცა საჭირო იქნება გეტყვით“.**

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სალომე ზურაბიშვილმა დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურის თამაში მას შემდეგ დაიწყო, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა. მათი აზრით, ზურაბიშვილი თავს ანგარიშვალდებულად ახლა დასავლეთთან მიიჩნევს, ამიტომ დაიწყო ის თამაში, რაც ამ პოლიტიკური წრეებისთვის არის მისაღები. ამის დასამტკიცებლად კი ივანიშვილის „ოლიგარქად“ მოხსენიებაც აღარ ითაკილა.

შეკითხვას – ტერმინი ოლიგარქი თქვენთვის არ არის მისაღები ივანიშვილთან მიმართებით? სალომე ზურაბიშვილმა უპასუხა:

**„რატომაც არა. ოლიგარქობა რას ნიშნავს, რას არ ნიშნავს არ ვიცი, მაგრამ ვენეციის კომისიის პასუხი ამ დეოლიგარქიზაციის კანონზე არ არის რაღაც... ვენეციის კომისიის მიდგომა ამ საკითხზე არის, რომ თქვენ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს სისტემურად. უნდა მიიღოთ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც იქნება პრევენციული, რომ არავინ შეძლოს, რომ მიიღოს მეტი გავლენა“.**

წამყვანმა შეკითხვა დააზუსტა – ივანიშვილი ოლიგარქია? პრეზიდენტმა უპასუხა: **„არის, ალბათ, კი. ოლიგარქი იმ გაგებით, რომ ფული აქვს, მედიაზე გავლენა და პოლიტიკაზე გავლენა, ამ გაგებით არის, მაგრამ ოლიგარქიის პრობლემა არის მეტი, ვიდრე ივანიშვილი. ივანიშვილის პრობლემა არის მეტი, ვიდრე ოლიგარქიზმი – სისტემის არგამჭვირვალობა. ამის თქმა მინდა, რომ საჭირო არის, რომ ჩვენ გავიგოთ და ვიცოდეთ, სად წყდება მთავარი გადაწყვეტილებები, როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილებების შეცვლა ან მათზე გავლენის მოხდენა და ა.შ.“**

ანალიტიკოსი გია აბაშიძე ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა თავად გადაწყვიტა ნაციონალების მესიჯბოქსებში ჩაჯდეს და იმეორებს იგივეს, რასაც სალომე სამადაშვილი, თამარ კორძაია, ხათუნა სამნიძე და ანა ნაცვლიშვილი... ზურაბიშვილის ნინო ლომჯარიზაცია დაიწყო, რადგან მის ლექსიკაში ველარ გაარკვევ რეალურად ვინ საუბრობს.



„ზურაბიშვილს გამარჯვება ისე უნდოდა, რომ ამ „ოლიგარქის“ ფოტო საარჩევნო ბილბორდზე ჰქონდა გამოსახული, მაგრამ შემდეგ უფროსი გამოიცვალა“...

**„ზურაბიშვილის განცხადებები ბოლო დროს საერთოდ რეალობას არის მოწყვეტილი. პრეზიდენტი საზოგადოების თვალში სრულიად არალეგიტიმურია. ძალიან დიდი ნერვების და რესურსის ფასად დაუჯდა მის ამომრჩეველს ზურაბიშვილის დაცვა. მას ნაციონალები და სხვა დანარჩენი რადიკალები ამუნათებდნენ. ათასგვარ სისულელეს და სიბინძურეს აბრალებდნენ. თუმცა, რატომღაც ზურაბიშვილმა გადაწყვიტა, რომ ამ დესტრუქციული ჯგუფის პოლიტიკური გზავნილები გაიზიაროს და ამით ვითომ ნეიტრალური პოლიტიკური აქტორი გამოჩნდეს. ჩემი შეფასებით, ის უფრო დასავლეთში იწერს ქულებს, ვიდრე ქართული საზოგადოების თვალში,** – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, ცხადია, რომ ზურაბიშვილს გათვლა დასავლეთზე აქვს, მაგრამ ზუსტად რა უნდა, ეს, ჯერჯერობით, რთული სათქმელია. არსებობს სხვადასხვა ჭორი იმის შესახებ, ის საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ კარიერას დასავლეთში, კერძოდ, საფრანგეთში გააგრძელებს, თუმცა მან ეს უარყო. თუმცა, აბაშიძე მეორე ვერსიად მისი შვილების ევროპაში კარიერის გაკეთებას ასახელებს. აბაშიძე მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილს საქართველოში არანაირი კარიერა აღარ ექნება და ის, უბრალოდ, გიორგი მარგველაშვილივით მარგინალიზებული ფიგურა გახდება. ამიტომ, მას, როგორც ჩანს, გარკვეული იმედი აქვს, რომ დასავლეთში უფრო დააფასებენ.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი მიიჩნევს, რომ სალომე ზურაბიშვილი უკვე დიდი ხანია დამოუკიდებელ პოლიტიკოსს თამაშობს. ზურაბიშვილმა, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, ჩათვალა, რომ ქვეყნის შიგნით არავისთან აღარ არის ვალდებული. ამიტომ ახალი „უფროსი“ გაიჩინა და ეს დასავლეთია, რომელსაც ანგარიშს უკვე დიდი ხანია უწევს.

**„როგორც იტყვიან ხოლმე „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, ძალიან სამწუხაროა, როცა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის სახეცვლილება ასე სწრაფად მოხდა. საქმე კი ისაა, რომ ის დროის გასვლისთანავე უფრო და უფრო რადიკალური ხდება. გვახსოვს შარშან, როცა არ მოგვცეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, მისი რიტორიკა ასეთი მწვავე არ ყოფილა. მან ივანიშვილს მაშინ „ოლიგარქი“ არ უწოდა. ახლა კი უფრო პირდაპირი და ღიაა.**

**ალბათ, ფიქრობს, რომ უკვე დროა დასავლეთისთვის თამამი განცხადებები გააკეთოს და მათი დარწმუნება შეძლოს, რომ ის დამოუკიდებელი მოთამაშეა, თუნდაც ივანიშვილისგან გათავისუფლდა და ა.შ. სამწუხარო ისაა, რომ ქალბატონი პრეზიდენტი 2018 წელს სულ სხვაგვარად საუბრობდა.**

**მაშინ ამ „ოლიგარქის“ ფოტო მის საარჩევნო ბილბორდზე იყო გამოსახული. გამარჯვება ისე უნდოდა, რომ ე.წ. ოლიგარქის ზურგს უკან იყო ამოფარებული. მაშინ რა შეიცვალა? შეიცვალა ის, რომ მან უფროსი გამოიცვალა,** – ამბობს **საყვარელიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**




# ხელისუფალნო – გამოიძიეთ და დასაჯეთ, ვინც დასასჯელია!

# „ფრანკლინის კლუბის“, ლევან რამიშვილის და სხვათა ლიბერასტული ჭინთვები...

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობაში ვინც მიიღებს მონაწილეობას, ახალგაზრდებს გამოიყენებს ქვეყნის წინააღმდეგ, სახელმწიფოს მკაცრი რეაგირება ექნება, რომელი ქვეყნის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს.**

**ირაკლი ღარიბაშვილმა** ყურადღება გაამახვილა ე.წ. „ფრანკლინის კლუბში“ მიმდინარე პროცესებზე და აღნიშნა, რომ ეს არის ჩვეულებრივი სპეცსამსახურების მიერ შედგენილი გეგმა, პროგრამა, სადაც მიმდინარეობს ახალგაზრდების ტვინის გამორეცხვა. პრემიერი ამბობს, რომ ამ კლუბის სათავეებთან დასტურდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც.

**„მინდა, ჩვენი ქვეყნის შიდა და გარე მტრებს ვუთხრა, ჩვენ ყველაფერი ძალიან კარგად ვიცით, ძალიან კარგად ვიცით მათი გეგმებისა და ამოცანების შესახებ. სახელმწიფო სამსახურები არიან მოწოდების სიმაღლეზე. მინდა, გესაუბროთ საფრთხეზე, რომელიც უკავშირდება ეგრეთ წოდებული „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის აქტივობას. „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „ფრანკლინის კლუბი“. საერთოდ რა კავშირი აქვს ფრანკლინს საქართველოსთან? რაც „ფრანკლინის კლუბში“ მიმდინარეობს, ეს არის ჩვეულებრივი სპეცსამსახურების მიერ შედგენილი გეგმა, პროგრამა. მიმდინარეობს ახალგაზრდების ტვინის გამორეცხვა!**

**უკვე 2 000-ზე მეტი სტუდენტი არის ამ კლუბის მონაწილე. ეს არ არის „ფრანკლინის კლუბი“, ესენი არიან ანარქისტული მოძრაობის წევრები. 1 000-ზე მეტი ანარქისტი მონაწილე ესწრებოდა 7-8 მარტის ცნობილ მოვლენებს, აქციებს. მათ კონკრეტული ინსტრუქციები ჰქონდათ მიცემული, როგორ უნდა მომხდარიყო პროვოკაციები, როგორ უნდა შესულიყვნენ კონფლიქტში პოლიციასთან, სპეცრაზმთან. მათი წარმომადგენლების მხრიდან იყო „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა და ამის თაობაზე მიმდინარეობს გამოძიება“,** – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

**ე.წ. „ფრანკლინის კლუბი“ 2021 წელს დაფუძნდა და ყველა სოციალურ პლატფორმაზეა აქტიური. არაოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული კლუბი „ალასანიას უნივერსიტეტის“ ბაზაზეა დაფუძნებული, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის და ლიბერტარიანიზმის გამავრცელებელი ასოციაციაა. როგორც ირკვევა, კლუბი პირდაპირ დაკავშირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“.**

„ფრანკლინის კლუბის“ ოფიციალურ გვერდი იუწყება, რომ ეს არის ასოციაცია, რომლის მიზნებიცაა კლასიკური ლიბერალური (ლიბერტარიანული) ფასეულობების გაძლიერება და წევრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. გარდა ამისა, „ფრანკლინის კლუბის“ მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები მოიცავს საგანმანათლებლო და მედია პროექტებს, კვლევას, პოლიტიკურ დისკუსიებს, აქტივიზმს და კონსულტირებას. კლუბი ღიაა კლასიკური ლიბერალიზმის გაძლიერებაზე მომართული ინიციატივების ფართო სპექტრისთვის.

კულტურის მინისტრის, **თეა წულუკიანის** განცხადებით, ე.წ. „ფრანკლინის კლუბი“ რეალურად არის „ნაციონალური მოძრაობის“, მასთან აფილირებული ექსტრემისტი პოლიტიკოსებისა და ექსტრემისტული მიზნებისთვის შექმნილი გარკვეული სამჭედლო, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს დიდ ადამიანთან, რომლის სახელსაც ატარებს. მისივე თქმით, დასახელებული კლუბის საქმიანობას დადებითად ვერ შეაფასებს, რადგან არ იკვეთება, რომ ის საგანმანათლებლო პროექტია.

**„არ მგონია, იდეოლოგიური სამუშაო, რაც ამ ახალგაზრდებზე, კლუბის წევრებზე უნდა ხორციელდებოდეს, კავშირშია თუნდაც ერთ ღირებულებასთან მაინც, რომელზეც შეიძლება, ადამიანმა გაიფიქროს, როდესაც ფრანკლინი ესმის. ალბათ, ეს უფრო არის არა „ფრანკლინის კლუბი“, არამედ ლევან რამიშვილის კლუბი, რომლის გამოყენებასაც მავანი მომავალი წლის საარჩევნო პროცესისთვის ცდილობს.**

**ავიწყდებათ, რომ დღეს არ არის**

## თაკო ჩარკვიანი: ივანიშვილის დავალებით, ნიკა გილაური ქმნის პარტიას, რომელშიც ნიკა მელია და ხატია დეკანოიძე გაერთიანდებიან



პარტია „კანონი და სამართლის" თავმჯდომარის, **თაკო ჩარკვიანის** განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის დავალებით, **ნიკა გილაური ქმნის პარტიას,** რომელშიც წევრიანდება **ნიკანორ მელია.** ჩარკვიანის ინფორმაციით, პარტიაში გაწევრიანებას აპირებს **ხატია დეკანოიძეც.**

**„ჩემი ინფორმაციით, ახალი შეფუთვით წარმოჩინდება ბიძინა ივანიშვილი, ახალი პარტიით. 2015 წელს 120 მილიონ დოლარად გილაურმა იყიდა „წყალკანალი", წყლის კომპანია, იმ ვალდებულებით, რომ 240 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდებოდა, ეს სახელმწიფოს ვალდებულება იყო. ასევე იყო ვალდებულება, რომ წყლის ტარიფი არ გაძვირდებოდა. არცერთი ვალდებულება არ სრულდება. 2016 წელს 240 მილიონ დოლარიანი ვალდებულება იხსნება, ანუ სახელმწიფო თავად იზარალებს თავს. „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი პრემიერის გამო, ივანიშვილის ხელისუფლება პრაქტიკულად ჩუქნის, ხსნის 240 მილიონი დოლარის ოდენობის ვალდებულებას და ცოტა ხანში იყიდება 230 მილიონ დოლარად. 240 მილიონს რომ გაჩუქებენ, შემდეგ შენ, როცა უნდათ, მაშინ შეგაქმნევინებენ პარტიას. ნიკა გილაური ქმნის პარტიას და იმ პარტიაში წევრიანდება ნიკანორ მელია. აი, რატომ ვებრძოდი მე ამ ყველაფერს და თავის დროზე რატომ ვამხილე ეს სქემა. მხოლოდ ნიკა მელია არა, ხატია დეკანოიძეც ძალიან ჩართულია ამ ამბავში. მგონი, მისი თანხმობა უკვე არის"...**

## ნიკა მელია: ადვილი გამოსაცნობია, ჩარკვიანი ვისაც ახმოვანებს!..



**„თაკო ჩარკვიანს ეთერში უსაუბრია ვითომდაც ჩემს სამომავლო გეგმებზე – ვისაც ის ახმოვანებს უკვე წელიწადზე მეტია, ადვილი გამოსაცნობია. დღეს თაკო ჩარკვიანი ამბობს, რომ თურმე, ბიძინა ივანიშვილის „დავალებით", ნიკა გილაურის თავმჯდომარეობით იქმნება პარტია, რომელსაც მე და ხატია დეკანოიძე ვუერთდებით. კაგებეს მეთოდით ჭორების გამავრცელებლები – მხოლოდ ასე შეიძლება ეწოდოთ ადამიანებს, რომელთაც ასეთი სამარცხვინო ტყუილების ტირაჟირება არ ეთაკილებათ. ქვყანას კი მხოლოდ მაშინ ექნება მომავალი, როდესაც (და ძალიან მალე) არაფორმალური მართვა და უსახო მარიონეტების პოლიტიკოსებად სახელდება დასრულდება. საქართველოში აუცილებლად გაიმარჯვებს ღირსება და სიმართლე!"** – წერს ნიკა მელია.

## ხატია დეკანოიძე: ჩარკვიანის ბოდვას ჩემი სერიოზული პასუხი არ ექნება



ოპოზიციონერი დეპუტატი **ხატია დეკანოიძე** პარტია „კანონი და სამართლის" ხელმძღვანელის, თაკო ჩარკვიანის განცხადებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში წერს, რომ:

**„ჩარკვიანის ჭორაობა-ბოდვას ჩემი სერიოზული პასუხი არ ექნება. ეს არის ერთადერთი კომენტარი ამ საკითხზე",** – დაწერა ხატია დეკანოიძემ.



### ანდერს ბრეივიკის სამშობლოდან „ნულოვანი ტოლერანტობის" ავტორს ჯილდო ერგო - სააკაშვილი ნორვეგიელმა მემარჯვენეებმა დაასაჩუქრეს.

# ჯილდო ბრეივიკისთვის...

**„დაახლოებით იგივეა, რომელიღაც ქვეყანამ რომ ბრეივიკს მისცეს ეს ჯილდო",** – ასე ეხმიანება პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ნორვეგიაში სააკაშვილისთვის დემოკრატიის პრიზის გადაცემას.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ეს ქართველი ხალხის დაცინვა და მკვლელი სისტემის შემოქმედის დაჯილდოებაა.

**ნორვეგიის სასამართლომ ანდერს ბრეივიკს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ოსლოში მომხდარი ტერაქტის გამო, რასაც 77 ადამიანი შეეწირა, 151 კი დაიჭრა. სააკაშვილს კი, რომლის რეჟიმსაც უამრავი ადამიანი შეეწირა, ნორვეგიელმა მემარჯვენეებმა მაინცდამაინც იმ სფეროში მიანიჭეს ჯილდო, რომელიც სააკაშვილისთვის ყველაზე სუსტი წერტილი იყო – ადამიანის უფლებების, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისთვის.**

მოგვიანებით ნორვეგიის ოფიციოზმა განმარტა, რომ ეს ჯილდო ნორვეგიის სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია არ იყო, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმისგან გაწამებულმა ადამიანებმა პროტესტი მაინც გამოხატეს ნორვეგიის საელჩოს წინ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კი ნორვეგიის ელჩი დაიბარეს.

**„ქართულ ოცნებაში" ამბობენ, რომ ბრეივიკმა თავად გამოკრა ხელი სასხლეტს, სააკაშვილმა კი შექმნა სისტემა, სადაც სასხლეტზე ბევრი ხელის გამომკვრელი იყო. სააკაშვილმა ეს ნათქვამი უპასუხოდ არ დატოვა და აღნიშნა, „ერთადერთი, ვინც ჩემს დროს ქართულმა სახელმწიფომ დახოცა, ასობით რუსი ინტერვენტი იყო, 2008 წელს რომ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი".**

მართალია, ნორვეგიელებს სააკაშვილის დაჯილდოება უნდოდათ, მაგრამ ცინიკურად რომ შევხედოთ ამ მოვლენას, ზუსტად ეს ჯილდო ხომ არ აღმოჩნდა სილის გაწვნა და დაცინვა სააკაშვილისთვის და მისი „დემოკრატიისთვის"?!

ყოფილი პოლიტპატიმარი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის მიერ სააკაშვილისთვის გაცემული ჯილდო დასავლეთის სერიოზულ დაკნინებაზე მიუთითებს.

იხ. 5 გვ.

---

**2003 წელი, 2023 წელია, დღეს სახელმწიფოს სათავეში არ არის ის ხელისუფლება, რომელიც მაშინ იყო, ახლა სხვა ხელისუფლება, სხვა რეალობაა. ვინც ეს კლუბი დააფუძნა და პოლიტიკური მიზნებისთვის იდეოლოგიურ სამჭედლოდ აქცია, მაინც არიან „კმარას" ნოსტალგიაში. ამიტომ ამ კლუბის საქმიანობას ჩვენ ვერ შევაფასებთ დადებითად, რადგან არ იკვეთება, რომ არის საგანმანათლებლო პროექტი, ეს არის პოლიტიკურ-იდეოლოგიური პროექტი და ახალგაზრდებს რთავენ ისეთ პროცესებში, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ანტისახელმწიფოებრივია",** – განაცხადა **თეა წულუკიანმა.**

„ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი **დიმიტრი ხუნდაძე** საქართველოში უცხოეთის მხრიდან არსებულ პოლიტიკურ გავლენებზე და შესაძლო საფრთხეებზე საუბრობს და ამბობს, რომ თუკი რუსეთმა დაინახა, რომ დასავლეთის გარკვეულმა ძალებმა საქართველოზე ერთპიროვნული და უპირობო ძალაუფლება მოიპოვეს, შესაძლოა, მათი საოკუპაციო ზრახვები ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო გაიზარდოს.

**„ეს ომთან გვაახლოებს და, ამ შემთხვევაში, ჩვენ დავკარგავთ არა უფრო მეტ ტერიტორიებს, არამედ, მთლიანად საქართველოს. უკრაინაში ომის რეალობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას, საზოგადოებასა და ოპოზიციას მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს, რომ უკეთესის ძიებაში უარესი არ შეგვრჩეს ხელში. დასავლეთის გარკვეული ძალები სახიფათო თამაშს თამაშობენ დღეს საქართველოში. ისინი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ამაზე რომ ღიად ვსაუბრობთ, სწორედ ამიტომ გვიპირისპირდებიან და ძალადობენ ჩვენზე,**– აღნიშნავს **დიმიტრი ხუნდაძე.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ „ფრანკლინის კლუბი" ეს არის „ნეოკმარა", რომელიც მოწოდებულია ვითომ ინტელექტუალური კლუბის შირმით, პირველი – გაურეცხოს გონება ახალგაზრდებს, რომლებსაც ასაკიდან გამომდინარე ნაკლები განათლება და გამოცდილება აქვთ, ამ ტვინის გამორეცხვაში შედის არა მხოლოდ ანტისახელისუფლებო პროპაგანდა, არამედ ყველაზე საშიში რაც არის – ანტიქართული, ანტიტრადიცული პროპაგანდა, ცდილობენ რა ცრუ გზავნილებით დამახინჯებულად გადასცენ მათ საქართველოს ისტორია, საქართველოს გმირების ისტორია და საქართველოს უძვირფასესი ტრადიცები. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, სამწუხაროდ, ჩვენ გვიწევს იმ ეპოქაში ცხოვრება, რასაც ჰქივია პოსტსიმართლე, სადაც ფაქტები არაფერს ნიშნავს, მხოლოდ აღქმები და დამახინჯებული ინფორმაციის აგრესიულად გავრცელება არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ობიექტური რეალობა.

**„ფრანკლინის კლუბი" იქნება, თუ მათნაირი რადიკალები – „სირცხვილია" „დროა" და სხვა ე.წ. ვითომ სამოქალაქო აქტივისტური მოძრაობა, ისინი ფინანსდებიან დასავლეთისგან. თუ აბსოლუტურად უმანკონი არიან, მაშინ არაფერი უდგას წინ იმას, რომ გამოაქვეყნონ საკუთარი დაფინანსების წყაროები და რისთვის არის ეს თანხები გამოყოფილი. მაგრამ, როდესაც ეს სუბიექტები მალავენ ინფორმაციას, იქ ეჭვები უფრო ძლიერდება და მით უმეტეს ამ ეჭვებს აღარ სჭირდება დადასტურება.**

**რეალურად, ჩვენ ვიხილეთ, რომ ეს ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები, პირველად, საქართველოს ისტორიაში, პოლიციას უპირისპირდებოდნენ მოლოტოვის კოქტეილებით, რაც არ მზადდება ადგილზე. ამას სპეციფიკური ცოდნა სჭირდება. არ გამიკვირდება, თუ მათი კონსულტანტები იყვნენ ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებიც სპეცსამსახურებში, თუ თავდაცვის უწყებებში მსახურობდნენ. ამიტომ ამ რადიკალიზმს ბოლო უნდა მოეღოს ისეთივე ევროპული მეთოდებით, როგორიც ხდება ნებისმიერი არეულობის შემთხვევაში დასავლეთის ნებისმერ ქალაქში",** – განაცხადა For.ge-სთან საუბრისას **გია აბაშიძემ.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, გვახსოვს „კმარა" და გავლილი გვაქვს 2003 წლის ვარდების რევოლუცია, როცა ახალგაზრდები გადიოდნენ ტრენინგებს უცხოელების დახმარებით და ვარჯიშობდნენ სწორედ იმაში, როგორ დაემხოთ არსებული ხელისუფლება. საყვარელიძის თქმით, მაშინ ეს ახალი ხილი იყო და, ძირითადად, მოწოდებული იყო როგორც მართლა დემოკრატიული პროცესი.

**„ერთადერთი, ჩნდებოდა კითხვები იმ მხრივ, რომ თუ მართლა დემოკრატიული პროცესია, მაშინ რად უნდათ ტრენინგი ახალგაზრდებს, ისინი უნდა მოქმედებდნენ თავიანთი გულის ძახილით. მაგრამ, მერე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ხავერდოვანი რევოლუციები არ იყო ასე მარტივი და კეთდებოდა ამერიკელი პოლიტოლოგის შარპის რეკომენდაციებით. ჩვენთან რომ ყველაფერმა ჩაიარა, მერე ჯორჯ სოროსმა თქვა, რომ აი, ექსპერიმენტი საქართველოში გამოვიდაო. თუკი მაშინ შეიძლებოდა ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება უცხოელების მხრიდან, რა თქმა უნდა, ახლაც შეიძლება. უნდა გითხრათ, რომ ამ ფონზე დაუშვებელია იგივე მეორდებოდეს, ალბათ, არ ვიქნები სწორი – თუ შეიძლებოდა ეს პროცესები მომხდარიყო 20 წლის წინ, რატომ არ შეიძლება მოხდეს დღეს?",** – აცხადებს საყვარელიძე.

მისი თქმით, აქ არის ერთი „მაგრამ", როდესაც ასეთ ბრალდებებს აყენებს სახელმწიფოს პირველი პირი, პრემიერ-მინისტრი და ეს ბრალდება გულისხმობს, რომ სხვა ქვეყნის მიერ მზადდება გადატრიალება, მაშინ ეს ასე პუბლიცისტურ დონეზე გასარჩევი საკითხი არ არის.

**„არ შეიძლება ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხების პუბლიცისტურ საკითხებად გადაქცევა. სხვა თუ არაფერი, ტრიბუნიდან ამაზე ლაპარაკი აჩენს განცდას - კი, მაგრამ ხელისუფლებაში თქვენ ხართ, გამოიძიეთ და დასაჯეთ ვინც დასასჯელია, მე რატომ მელაპარაკებით? ხელისუფლების მხრიდან ეს რიტორიკა, რომ არსებობს კლუბი და იქ რაღაცა ხდება, მომგებიანი არ არის.**

**რაც შეეხება იმას, რომ რომელიღაც უმაღლესებში შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები, ან პოლიტიკურად მოტივირებული ახალგაზრდები იყვნენ, შეიძლება იყვნენ. კომუნისტების იმედად იყვნენ კომკავშირლები. ვერ ვიტყოდი, რომ სასურველი პრაქტიკა არის, მაგრამ ასეთი პრაქტიკა და რეალობა არსებობს, თუკი ეს რეალობა ქვეყანას ხელს უშლის, მაშინ ამ რეალობას მოვლა უნდა, ისევ და ისევ – გამოკვლევა, დადგენა იმისა, რომ იქ ჩართული ადამიანების განზრახვა რამდენად არის დანაშაულებრივი.**

**თორემ, ამ უმაღლესების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ ჯგუფში მხოლოდ აკადემიურ თემებზე არის ლაპარაკიო და რა ვქნათ ახლა, რომელს დავუჯეროთ? ამისთვის გამოძიება არის საჭირო და არა ტრიბუნიდან დანამუსება. დანამუსებით საქმე რომ კეთდებოდეს საგამოძიებო ორგანოები არ იარსებებდა",** – **აღნიშნა** რამაზ საყვარელიძემ.

**თამთა ქარჩავა**

# ნაცმოძრაობის ანასხლეტების კრახი!

## „სავარაუდოდ, მერაბიშვილ-კეზერაშვილის ერთ-ერთი მიზანია, გაიხსნას არალეგალური ტვირთების ტრანზიტი“




**„ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებული დაპირისპირება კარგი შესაძლებლობაა ამომრჩევლისთვის, მიიღოს გადაწყვეტილება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვის მისცეს ოპოზიციის მანდატი. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ახალი დაპირისპირება იწყება. პარტიის ახალგაზრდული ფრთის ნაწილი, რომელიც ნიკა მელიას უჭერდა მხარს და განსხვავებული აზრი გააჩნია, პარტიის ახალგაზრდული ფრთის ყრილობაზე არ მიიწვიეს. უფრო მეტიც, მათ აღნიშნული ყრილობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მოქმედი თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის მომხრეები კი აცხადებენ, რომ ყრილობაზე ყველა მათგანი იყო დაპატიჟებული.**

ახალგაზრდები აპროტესტებენ, რომ პარტიის ახალი ხელმძღვანელობა ახალგაზრდებს რეალურად აზრს არ ეკითხება და ცდილობს, მხოლოდ ერთი აზრი იყოს პარტიაში, ის, რაც ვანო მერაბიშვილს მიაჩნია სწორად. „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი **დიმიტრი ბიძინაშვილი** აცხადებს, რომ სამწუხაროდ, **ვანო მერაბიშვილის** პროცესში შემოსვლამ გამოიწვია პარტიის დაშლა. ბიძინაშვილი პარტიის არაფორმალურ თავმჯდომარეს მიმართავს, რომ ის არც ამ პარტიის და არც ამ ქვეყნის მომავალი არ არის.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ ლევან ხაზეიშვილის დანიშვნის შემდეგ, პარტიაში არსებული შიდა დაპირისპირება საჯარო გახდა. ყოველდღე ვხედავთ, რომ ხდება პარტიის გაყოფა, დაშლა, ადამიანები ტოვებენ პარტიას, რაც არის არაფორმალური მმართველობის გავლენა და სტილი. ადამიანები, სწორედ, ოდიოზური, ყოფილ ძალოვან მინისტრთან, მერაბიშვილ-კეზერაშვილთან დაპირისპირების მიზეზით ტოვებენ პარტიას. პარტიაში მართვის სადავეები ყოფილმა ძალოვანებმა აიღეს. **მერაბიშვილ-კეზერაშვილის** გარდა პარტიულ მმართველობაში ასევე ჩართულია თავდაცვის კიდევ ერთი ყოფილი მინისტრი **დიმიტრი შაშკინი,** მათ შორის ქვეყნიდან გაქცეული ძალოვნები ძმები **ახალაიები** და **სოსო თოფურიძე.**



პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, **ირაკლი ქადაგიშვილი** აცხადებს, რომ დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკური მონსტრები მართავენ. მისი თქმით, პარტია სრული პოლიტიკური დეგრადაციის გზაზე დგას. ფაქტობრივად, პარტიის ცხოვრების მთავარ დღის წესრიგად არაფორმალური მმართველობა გახადეს და პარტიას სათავეში შესაბამისი ლიდერიც ჩაუყენეს.

**„ნაციონალური მოძრაობიდან“ ყველა მიდის, ვინც საკუთარ თავს უფრო პროგრესულად ხედავს. ეს მკაფიოდ გამოიხატა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რადგან ახალგაზრდებმა დაინახეს, რომ მათი ახალგაზრდული ენთუზიაზმი უგულებელყოფილია, ვინც არ ემორჩილება არაფორმალურ მმართველობას. ეს პროცესი აისახება პარტიის ამომრჩევლის რაოდენობაზე.**

**ჩემი მხრიდან ნიკა მელია რა შეფასებასაც არ უნდა იმსახურებდეს, მისი იდეა დასანახია – მან პარტიის განახლება მოინდომა და ახალი სახეები მიიყვანა, მაგრამ ახლა ვხედავთ, პარტიაში რეტროგრადულ სურათს, რადგან პარტიას პოლიტიკური მონსტრები მართავენ. მათი განცხადებებიც ზუსტად იმ მონსტროიდულ თარგში დევს, რითაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ქვეყანას მართავდნენ და ხალხს ჩაგრავდნენ, ეს იწვევს თვალხილულ დაშლას და ჩამოშლას პარტიული რიგების“,** – აცხადებს **ირაკლი ქადაგიშვილი.**

სწორედ იმის გამო, რომ პარტიის არაფორმალური მმართველობა ძალოვნებმა გადაიბარეს, რომლებიც არ არიან შეჩვეული პოლიტიკური განცხადებების კეთებას, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, დაუდევარად იქცევიან, მათი მხრიდან თითქმის არ არის სერიოზული განაცხადი, გარდა იმისა, რომ მერაბიშვილის ინტერვიუები ვრცელდება უკრაინულ არხებზე. რაც შეეხება ძალოვნების ამ კონცენტრაციას და კეზერაშვილის ყოფნას განსაკუთრებული სტატუსით ამ ჯგუფში, პოლიტოლოგის დაკვირვებით, ასეთი სტრუქტურა სავარაუდოს ხდის, რომ ეს ჯგუფი დაინტერესებული უნდა იყოს დაიკავოს საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია

**„სატრანზიტო სქემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის არალეგალური ტვირთების ტრანზიტი. ჩვენ ვიცით, რომ ამ მხრივ კეზერაშვილი საკმაოდ საინტერესო გახლავთ. არალეგალური ტვირთების მიმართ გარკვეული ინტერესები ჰქონდა და აქვს. კეზერაშვილის მიერ დაგროვილი მილიარდები სწორედ არალეგალური ტვირთბრუნვებით იხსნება და კერძოდ, იარაღის არალეგალური ვაჭრობით. სავარაუდოა და მით უმეტეს რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, ყოფილი ძალოვანების ერთ-ერთი ინტერესი იყოს გახსნილ იქნას ასეთი სქემები – არალეგალური ტვირთების გატარება საქართველოდან“,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** თქმით, ცხადია, რომ ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს ოპოზიციური და სახელისუფლებო ფლანგი. მისი თქმით, ანტისახელისუფლებო ფლანგზე ერთია ის ამომრჩეველი, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენელი ეუბნება, რომ შენს ფლანგზე არსებული ოპოზიციური ძალები ჯალათებს და კრიმინალებს წარმოადგენენ და მეორეა, როდესაც იმავე ნარატივზე ესაუბრება მათ ამ სფეროს ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორიც არის სტრასბურგის სასამართლო.

**„სტრასბურგის სასამართლოს ვეღარ დაადანაშაულებენ იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან იმართებიან. ამიტომ, ვისაც შერჩა კიდევ უნარი, რომ იმსჯელოს, დასკვნები გამოიტანოს და რეალობას შეხედოს თვალებში, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს დაუსვამს კითხვას – ვის გვერდში იქნება 2024 წლის არჩევნებზე და ვის უნდა მისცეს ხმა.**

**საქმე გვაქვს „ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში იმ რეჟიმის ყველაზე სასტიკ, სადისტურ, არადემოკრატიულ, არაქართულ გამოვლინებებთან და სწორედ ყურადღების გადატანას ემსახურება სააკაშვილის დედის ეს სასაცილო ვოიაჟი ნორვეგიაში, რომელმაც „ევროპის სახალხო პარტიის“ ერთ-ერთ შვილობილ სამეკავშირეო ნორვეგიულ ჭე-კლასის პარტიას გამოსძალა რაღაცა სიგელი, თუ ჯილდო“,** – აცხადებს ქართველიშვილი.

ეს ყველაფერი ხდება იმის ფონზე, როდესაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს ნელ-ნელა და რიგითობით უწევს „ნაცმოძრაობისთვის“ გამანადგურებელი ვერდიქტის გამოტანა, რომ მისი მმართველობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სისტემატურ წამებას, სადიზმს, იმ ჯალათობრივ პრაქტიკას და არადამიანურ მოპყრობას, რაზეც, ყოველდღე ესაუბრებიან არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს.

**„მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ერთია როდესაც ამაზე საუბრობენ მოქმედი ხელისუფლების მომხრე ადამიანები და მეორეა, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს გამოაქვს ოფიციალური ვერდიქტი. დიახ, ოფიციალური ვერდიქტი გამოაქვს სტრასბურგის სასამართლოს ოჩიგავას საქმეზე, ასევე ვაზაგაშვილის საქმეზე, საიდანაც ვიგებთ, რომ იმდროინდელი პოლიცია არა თუ სპეცოპერაციას ატარებდა, არამედ პირდაპირ ადამიანების ხოცვით იყო დაკავებული. ასევე იყო გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის საქმე და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.**

**ამათ არ ეხებათ დათო ცინდელიანის და პაატა ქარდავას საქმეები, რომლებიც პოლიციელებმა გაიყვანეს ზღვაში, მოკლეს და ფეხებთან ბეტონმიბმულები ფსკერზე გაუშვეს ისე, რომ ოჯახის წევრებს დღემდე არ აქვთ საშუალება დაიტირონ თავისი შვილები. ამიტომ, როდესაც ეს ამბავი უკვე საერთაშორისო დონეზე სკდება და ვისაც სურს პოლიტიკური თვითგადარჩენა, ყველა ცდილობს ყველაზე ოდიოზურ ფიგურებს, რომელსაც განასახიერებს იგივე ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი, საჯაროდ გაემიჯნონ.**

**არ ვიცი ვისთან ერთად გააგრძელებენ ხატია დეკანოიძის მსგავსი ანასხლეტები ხვალინდელ პოლიტიკურ გზას, ამას უახლოესი დრო გვანახებს, მაგრამ ასეთი ტენდენციაა – ისინიც კი ხვდებიან, რომ 2024 წლის არჩევნებზე მათთან გაიგივება აბსოლუტურ კრახს ნიშნავს, რადგან „ნაციონალური მოძრაობისთვის“, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმისთვის, ვერდიქტი გამოაქვს ძალიან ავტორიტეტულ ორგანიზაციას, როგორიც არის სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლო“,** – აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

# 6 წელი გასულა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლიდან!

**უკვე ექვსი წელია საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის, შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობა შეუძლიათ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ასობით ათასმა მოქალაქემ ევროპაში 2 მილიონამდე ვიზიტი განახორციელა.**

უვიზო რეჟიმი **2017 წლის 28 მარტის დადგომისთანავე შევიდა ძალაში. შედეგად, საქართველოს მოქალაქეებმა შეძლეს, ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში უვიზოდ მიმოსვლა 180 დღიდან 90 დღის განმავლობაში. ამასთან, საქართველო 61-ე ქვეყანაა, რომლის მოქალაქეებსაც შენგენის ზონაში უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობა მიეცათ.**



ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, მთავრობა დღეს რატომღაც დუმილს ინარჩუნებს. ერთადერთი უწყება, რომელიც განცხადებით გამოეხმაურა ამ თარიღს იუსტიციის სამინისტრო იყო.

ამ 6 წლის განმავლობაში, არაერთხელ იყო საუბარი, რომ შესაძლოა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი ამოქმედებულიყო, ამას ძირითადად საფრანგეთი და გერმანია ითხოვდნენ თავშესაფრის მაძიებელთა დიდი რაოდენობის გამო, თუმცა, ეს თემა ევროსტრუქტურებში განხილვების სტადიას არ გასცდენია.

**მხოლოდ ბოლო 8 წლის მანძილზე, ევროკავშირში თავშესაფარი საქართველოს 111 528-მა მოქალაქემ მოითხოვა. ანუ 33 ადამიანში ერთმა. 2022 წელს საქართველოს მოსახლეობა 3 700 000-ზე ოდნავ ნაკლები იყო. ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის, ევროსტატის მონაცემებით, სულ 2014 წლიდან მოყოლებული საქართველოდან 126 770 თავშესაფრის მოთხოვნა დარეგისტრირდა. ეს რიცხვი მოიცავს მათაც, ვინც ევროკავშირსა და შვეიცარიაში ლტოლვილად ჩაბარებას ხელმეორედ ეცადა.**

„ჰეიდარ ალიევი მართლაც უიშვიათესი, უნიკალური სტილის ლიდერია მსოფლიოს ისტორიულ მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს შორის.

ის არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ მსოფლიოს ყველა აზერბაიჯანელის პრეზიდენტი და ლიდერია. ჩვენ ყველანი პატივით და სიამაყით ვამბობთ, რომ ჰეიდარ ალიევს არასოდეს დავივიწყებთ“, — ამბობს საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ჰიდაიათ ჰუსეინოვი.





# ჰიდაიათ ჰუსეინოვი:
# ჰეიდარ ალიევი არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ მსოფლიოს აზერბაიჯანელების ეროვნული ლიდერია!

ჰ.ჰუსეინოვი პირველად შეხვდა ჰეიდარ ალიევს საქართველოს პარლამენტის დეპუტატის რანგში 1996 წლის 5 იანვარს ბაქოში.

**„ძალიან აღელვებული ვიყავი. ასეთი ისტორიული მოღვაწის, გამოჩენილი პოლიტიკოსის წინაშე საუბარი დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. გადავეცი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოკითხვა და რამდენიმე საკითხზე ვისაუბრე. ჰეიდარ ალიევმა იგრძნო, რომ მიჭირს აზერბაიჯანულად ლაპარაკი და თავისებურად შემაწყვეტინა და მითხრა, კარგად ლაპარაკობ, ქართველი აზერბაიჯანელები ზოგიერთ მინისტრზე უკეთ საუბრობენ აზერბაიჯანულად.**

**ამ ხუმრობითა და რეპლიკით ცოტა გამამხნევა“,** — ამბობს ჰ. ჰუსეინოვი.

მინდა ხაზი გავუსვა ერთ რამეს — ჰეიდარ ალიევი არის აზერბაიჯანის სახელმწიფოს არქიტექტორი და დამაარსებელი. სწორედ მისი პოლიტიკური და მდიდარი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგად გადაარჩინა აზერბაიჯანი დაშლას. 1990 წლის 21 იანვარს მოსკოვში მისმა გადამწყვეტმა ნაბიჯმა, გაბედულმა გამოსვლამ, 1993 წლის დაძაბულ პერიოდში განჯაში ვიზიტმა და ძმათამკვლელი ომის პრევენციამ ძალიან გაგვახარა.

ჰეიდარ ალიევის ამ გადამწყვეტმა ნაბიჯმა საქართველოსთან ურთიერთობაზეც დადებითად იმოქმედა. ასევე დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ჰეიდარ ალიევის შეხვედრას თანამემამულეებთან 1996 წელს თბილისში. ეს არ იყო ჩვეულებრივი შეფასება, როცა მან აზერბაიჯანელებს უწოდა არა დიასპორა, არამედ ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობა. ამით დიდმა წინამძღოლმა ბევრს სერიოზული სიგნალი მისცა. მისი თქმით, აქ მცხოვრები აზერბაიჯანელები მარტონი არ არიან, მათ უკან აზერბაიჯანის სახელმწიფო დგას. ამ სიტყვებით მან აზერბაიჯანელთა ისტორიაზე ბეჭედი დასვა. ამას საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები არ დაივიწყებენ და ჰეიდარ ალიევის თვალსაზრისი დღესაც ჩვენთვის პატივია.

ჰ. ჰუსეინოვმა ასევე აღნიშნა აზერბაიჯანის დღევანდელი სწრაფი განვითარების შესახებ:

**„ჩვენც ძალიან გვიხარია, რომ დიდი ლიდერის პოლიტიკურ კურსს ღირსეული მიმდევარი ჰყავს. ეს არის ერთერთი იშვიათი მოვლენა ისტორიაში, რომ ჩვენმა დიდმა ლიდერმა მოამზადა ისეთი პოლიტიკური მემკვიდრე, როგორიც პრეზიდენტი ილჰამ ალიევია. ჩვენ ძალიან ბედნიერი და მადლობელი ვართ, რომ აზერბაიჯანს ჰყავს ასეთი პრაგმატული, შორსმჭვრეტელი და უნარიანი პრეზიდენტი.**

**44-დღიანი ომის შედეგად ჩვენი ოკუპირებული მიწების გათავისუფლებამ, ომის დროს ილჰამ ალიევის ინტერვიუებმა უცხოურ მედიასთან და მისმა პრინციპულმა პასუხებმა სხვა ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურების მისამართით, სიამაყის გრძნობით აღგვავსო აზერბაიჯანელები“...**

**„აზერბაიჯანელებს გვაქვს ასეთი გამონათქვამი: „არის ცოცხალი, რომლის სწრაფად თეთრებში გახვევა გსურს; არის მკვდარი, რომელიც საყრდენია ყოველთვის“. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ჰეიდარ ალიევი ფიზიკურად ჩვენთან არ არის, მისი სახელი მხარს გვიჭერს. ჩვენ ის არასოდეს დაგვიწყებია და არც დავივიწყებთ“,** — განაცხადა ყოფილმა დეპუტატმა.

მოხარულნი ვართ, რომ გვყავდა დიდი ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი და მისი ღირსეული მემკვიდრე, პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

**მშვიდობა აზერბაიჯანს! მშვიდობა და განვითარება საქართველოსა და აზერბაიჯანის ხალხთა მეგობრობას.**

# ჯილდო ბრეივიკისთვის...

(მესამე გვერდიდან)

**„ეს ჯილდო სააკაშვილს მიანიჭეს ნორვეგიის რადიკალური ოპოზიციის პარტიის წევრებმა. აბსოლუტურად ვეთანხმები პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებს, რომ ეს ბრეივიკისთვის მინიჭებული ჯილდოა. მართლაც, ბრეივიკი, პინოჩეტი და სააკაშვილი ერთ დონეზე დგანან. ბრეივიკმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, 77 ადამიანი მოკლა ინდივიდუალურად, სააკაშვილმა კი სახელმწიფოს გამოყენებით მოაწყო ქართველი ხალხის ტერორი და 150-ზე მეტ ახალგაზრდას მოუსწრაფა სიცოცხლე. თუმცა ბრეივიკს წაუყენეს ბრალი, უთხრეს, რომ შენ ამდენი ადამიანი მოკალი, სააკაშვილს კი რა ბრალი აქვს წაყენებული?! სიტყვებით კარგია ლაპარაკი, მაგრამ სად არის 3 ათასი ნაწამები ადამიანის საქმე? პროკურატურამ რომ შექმნა სპეციალური გაერთიანებული საგამოძიებო ჯგუფი, სადაც საუბარი იყო კოლექტიურად ადამიანების წამებასა და მასობრივ დანაშაულებზე, რატომ შეაჩერეს ამ საქმეების გამოძიება? გამოძიება თითქოს დაიწყეს, გამოჰკითხეს 3000-ზე მეტი პატიმარი, მაგრამ სად არის ეს საქმეები? მასობრივად ადამიანების უფლებების დარღვევის გამოძიება ბოლომდე რატომ არ მიიყვანეს?“**— აცხადებს ვახტანგ მაისაია.

პოლიტპატიმარი მიიჩნევს, რომ მარტო ციხეებში სისტემური დანაშაულების, მკვლელობის, წამების გამო უნდა წაეყენებინათ სააკაშვილისთვის ბრალი. მაშინ ნორვეგიული რადიკალური პოლიტიკური პარტია ვერ გაბედავდა სააკაშვილისთვის ჯილდოს გადაცემას. ამიტომ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ვახტანგ მაისაიას თქმით, დღემდე არ იძიებენ არც მის, არც ბევრი სხვა ადამიანის საქმეს. სტატისტიკური მონაცემებით, პოლიტპატიმრების საქმეების მხოლოდ 20% გამოიძიეს. არადა, ვახტანგ მაისაია დარწმუნებულია, მარტო მისი საქმე რომ გამოიძიონ, სააკაშვილის პირდაპირი დანაშაული იკვეთება, რადგან სააკაშვილის პირადი პატიმარი იყო, ეროვნული უშიშროების საბჭომ გასცა მისი დაპატიმრების უკანონო ბრძანება, ვახტანგ მაისაიას წამება სწორედ სააკაშვილისგან მოდიოდა.

ვახტანგ მაისაია იმასაც იხსენებს, რომ ლევან გოგიჩაიშვილსაც აწამებდნენ, თემურ ჟორჟოლიანსაც და სხვა ადამიანებს. თავისთავად ცხადია, გირგვლიანი და რობაქიძე ის ჭრილობაა,




რომელიც არ მოშუშდება, მაგრამ უნდა გააფართოვონ გამოძიების არეალი, მიამატონ სხვა ადამიანების წამების ფაქტებიც. ყოფილი პოლიტპატიმარი **თორნიკე მოლაშვილი,** რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ციხეში იმიტომ ჩასვა, რომ სტრასბურგიდან არ გამოიტანა საკუთარი ძმის, **სულხან მოლაშვილის** წამების საქმე, მიიჩნევს, რომ აბსურდია სააკაშვილის თავის მართლება, თითქოს მხოლოდ რუსი ინტერვენტები დახოცა.

**„რომელი რუსი ინტერვენტები დახოცა სააკაშვილმა? ყველას ახსოვს აგვისტოს ომის დროს სად გარბოდა და სად იმალებოდა, რამდენი კაცი დაახტა, გული რომ არ გასკდომოდა შიშისგან, რომელ ვაჟკაცობასა და რუსი ინტერვენტების დახოცვაზე ლაპარაკობს? ეს კაცი ყველაფერ კარგს იბრალებს, რადგან ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია. თავიდანვე თაღლითი იყო, ხალხმა არ იცოდა მისი თაღლითობა, მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს ამის შესახებ. ასეთი თაღლითი არ არსებობს, სააკაშვილი დღესაც კგბ-ს აგენტია. ამერიკა ცალკე მოატყუა, დასავლეთი ცალკე, ეს ყველაფერი მალე გაირკვევა. რაც შეეხება სააკაშვილისთვის გადაცემულ ჯილდოს, ჩავატარეთ აქცია და ნორვეგიის ელჩს ვთხოვეთ, გააკეთოს განცხადება, რომ ეს ნორვეგიის მთავრობის პოზიცია არ არის და ეწინააღმდეგება ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის პოზიციას“...**

თორნიკე მოლაშვილი იხსენებს, რომ სააკაშვილმა საქართველოს მასშტაბით 30-მდე დიდი და პატარა ტელევიზია დახურა, რეგიონშიც და თბილისშიც. იმდენად არ უნდოდა ოპოზიციის აზრების გავრცელება, რომ შეაჩერა სატელიტური თეფშების უსასყიდლოდ დარიგება და ყადაღა დაადო. ძვირადღირებული მინიტელევიზია რომ შემოიყვანა ბიძინა ივანიშვილმა, საზღვარზე დააზიანებინა და ნაწილები ამოაღებინა. ეს იყო სააკაშვილის „დემოკრატია“. 150-ზე მეტი ახალგაზრდა შეეწირა სააკაშვილის რეჟიმს, ეს ქუჩაში ვინც ჩახოცა, თორემ ციხეში რაც ხდებოდა, მინიმუმ, 3-4 დღეში ერთხელ კაცი კვდებოდა.

**„ჩემი თვალით მაქვს ნანახი, დააწერდნენ მერე საავადმყოფოებს, ვითომ ცოცხალი გადაიყვანეს საავადმყოფოში და საავადმყოფოში მოკვდა ვითომ. არ უნდა დავივიწყოთ, ვინ იყო სააკაშვილი და რას წარმოადგენენ „ნაცმოძრაობის“ წევრები. ფარული ჩანაწერები რომ იპოვა ჩვენმა ხელისუფლებამ და დაწვა, მოდით, ახალი ფურცლიდან დავიწყოთ საქართველოს მშენებლობაო, ეს არ ისურვეს „ნაციონალებმა“. ისინი საქართველოს მტრები არიან, არ უნდათ შეიგნონ საკუთარი დანაშაული. ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომლის ოპოზიციაც თავისი ქვეყნის წინააღმდეგ გამოდის და იძახის, ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის წევრობა არ ეკუთვნისო. ჩვეულებრივი მოღალატეები არიან...**

მისივე მოსაზრებით, ნორვეგიის ჯილდო ეს არის ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხება. პოლიტპატიმრის აზრით, სააკაშვილის ადგილი ციხეშია, მას არანაირი დაავადება არ სჭირს...

**მანანა ნოზაძე**



# ზაურ ბოლქვაძე — სიყვარულის პოეტი




**გასული საუკუნის მეორე ნახევარში, იქნებ უფრო სამოციან წლებში, ადამიანთა ცხოვრებაში თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით შემოიჭრა ხელოვნებისა და მწერლობის ახალი ტალღები. საოცარი, ნატიფი პოეზია, ფუძემაგარი რომანები და ნოველები, მუსიკალური შედევრები (მეტად საინტერესო შესრულებით), სახვითი ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები, კინემატოგრაფი მსოფლიოში აღიარებული ფილმებით, წარმატებული თეატრალური ქმნილებები.... ერთი სიტყვით, ჩვენი ეპოქის ამ ეტაპმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადამიანთა სულიერ ტკბობაში.**

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდში (ორმოცდაათიანი წლები) ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივისა“ და ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა, სადაც ფართო გზა მიეცა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების წარმოჩენას. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ახალგაზრდებს წინა საუკუნეებში წარმატებით გამოვლილი დიდი მწერლობა დახვდათ თავისი ღირსეული ტრადიციებით.

ორმოცდაათიანის დასაწყისიდან კი, სხვათა შორის, მათი „მასპინძელი“ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე და მუხრან მაჭავარიანი იყვნენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჟურნალი „ცისკარი“ (გამოცემა დაიწყო 1957 წლიდან), სადაც საოცრად ნიჭიერი თაობა შეიკრიბა: ნოდარ დუმბაძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, ოტია პაჭკორია, ემზარ კვიტაიშვილი, ლია სტურუა, რეზო ამაშუკელი და სხვ. სწორედ ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ შესანიშნავი პოეტი, ღირსეული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **ზაურ ბოლქვაძე**.

მე მქონდა პატივი ყმაწვილკაცობიდან ახლო ურთიერთობა მქონოდა ამ საოცრად ნიჭიერ ადამიანთან. იგი ცხოვრებაში თავმდაბალი, სიკეთით სავსე პიროვნება იყო. ადრეულ პერიოდში მუშაობდა უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ რედაქტორად. ამიტომ იგი ნებსით თუ უნებლიეთ საუნივერსიტეტო ცხოვრების შუაგულში იყო. არ შემიძლია დავივიწყო ჩვენი ერთობლივი მეგობრების, შემდგომში დიდი შემოქმედის — მწერლის, სცენარისტის, რეჟისორის, მხატვრის რეზო გაბრიაძისა და გამოჩენილი ქართველი მწერლის გურამ დოჩანაშვილის მადლიერება ზაურ ბოლქვაძისადმი (ამას რეზო გაბრიაძე არაერთგზის აღნიშნავდა). საინტერესოა, რომ რეზო გაბრიაძე სტუდენტობის დროს მხატვრობით იყო გატაცებული, ქმნიდა ლინოგრავიურებს, რომელსაც ბატონი ზაური თავის გაზეთში ბეჭდავდა. რაც შეეხება გურამ დოჩანაშვილს, იგი ისტორიის ფაკულტეტზე სწავლასთან ერთად იყო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის წევრი, უკრავდა ვიოლინოზე. ორივე სიყვარულით იგონებდა ზაურ ბოლქვაძის ამაგს ზოგჯერ წამოჭრილი მათი სტუდენტური პრობლემების გადაჭრაში.


მარცხნიდან: ზაურ ბოლქვაძე, მიხეილ ქვლივიძე, ჭაბუა ამირეჯიბი.

ზაურ ბოლქვაძე მეტად საინტერესოდ შემოვიდა ქართულ პოეზიაში. გამოსცა წიგნი. მთავარი უნივერსიტეტის პოეზიის საღამოზე მისი, როგორც პოეტის წარდგენა იყო. ამგვარი, მეტად საინტერესო საღამოები უნივერსიტეტში 60-იან წლებში დროდადრო იმართებოდა. მას ბევრი ხალხი ესწრებოდა. უნდა ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოება (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, სხვები) საკმაოდ კრიტიკულნი იყვნენ. ზაურ ბოლქვაძეს დიდი წარმატება ხვდა. მან შემართებით წაიკითხა რამდენიმე ლექსი. გულწრფელად ვიტყვი, რომ მისი ნიჭიერება აშკარად გამოჩნდა. თუმცა კრიტიკის გარეშე ამ ღონისძიებას არ ჩაუვლია. მან წაიკითხა ჩემი აზრით (ახლაც ასე ვფიქრობ) ბრწყინვალე ლექსი „ავტოპორტრეტი“, სადაც ასეთი სტრიქონებია:

**„ჩემგან შორსაა არდავიწყება,**
**და უკვდავების მკრთალი ლანდები,**
**მე ამ პატარა ლექსში ვიწყები**
**და ამ პატარა ლექსში ვთავდები“.**

მკაცრად შეხვდა ამ სტრიქონებს ერთ-ერთი იმ დროისთვის (დღესაც პატივცემული) ცნობილი, ავტორიტეტული კრიტიკოსი. მიიჩნია, რომ ახალგაზრდა კაცისთვის „არდავიწყებასა და უკვდავებაზე“ ლაპარაკი ნაადრევი იყო და ა.შ. მე გავიმეორებ, ჩემი აზრით, ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა ზაურ ბოლქვაძის შემოქმედებაში. ეს, რაც მოგონებას შეეხება, წინ მიდევს რამდენიმე წლის წინ გამოცემული ზაურ ბოლქვაძის ლექსების კრებული. წიგნს ზაურ ბოლქვაძის მრავალთაგან ერთ-ერთი ბრწყინვალე სტრიქონი „მე სიყვარული ვიყავ უთქმელი“ ამშვენებს. მადლობა კრებულის რედაქტორ-შემდგენელს ნანა დარჩია-ბოლქვაძეს თავსართის ასე გონივრულად, მიზანშეწონილად, ზუსტად შერჩევისათვის; საოცარი ადამიანური სინატიფითაა დაწნული:

**„მე სიყვარული ვიყავ უთქმელი**
**და ბავშვი — თვალებაუხელელი...**
**სიმღერა ვიყავ გულდამთუთქველი**
**და დარდი — ლექსში გაუმხელელი“.**

ზაურ ბოლქვაძე მთელი არსებით პოეტი იყო, ქართველი (ხაზს ვუსვამ) პოეტი. მისი გულიდან სიყვარულით ამოზრდილი, „სისხლით დაწერილი“ სტრიქონები განსაკუთრებული სიფაქიზით, ამასთან მძლავრად, გადმოსცემენ სათქმელს. სათქმელი კი ბევრია. იგი ლირიკოსი პოეტია. ეტრფის სამშობლოს, ბუნებას, ოჯახს, დიდი პატივით იგონებს წარსულს. სულისშემძვრელი სტრიქონები აქვს დედაზე, გამორჩეულად ეხება მეუღლეს — ნანა დარჩია-ბოლქვაძეს და სიყვარულით დაუოკებელია მისი საამაყო ქალიშვილის ელისო ბოლქვაძის მიმართ დამოკიდებულება.

ზაურ ბოლქვაძის ლექსები სამშობლოზე, ქვეყნის წარსულზე ჭეშმარიტი ჭირისუფლის, განსაკუთრებული სიყვარული და მასზე ზრუნვის, მისთვის თავდადების რეალური წარმოსახვაა (ამის ჭეშმარიტი დასტურია ლექსების ციკლი „ბატონო საქართველოვ“). რაოდენ გულწრფელია პოეტის სტრიქონები:

**„უსაქართველოდ ვერ ვიმღერებდი**
**მე — ალალ გულის დღესასწაული...**
ან

**„და საქართველოს სულს ვუგალობე**
**სიმღერა ჩემი პირველყოფილი“.**
ან

**„ვახანძარებდი გულს სანათელოს**
**მამა-პაპური ხმლების პირებით**
**და სიკვდილამდე მე საქართველოს**
**მაღალ სიყვარულს ვიზეპირებდი“.**

ზაურ ბოლქვაძე პოეზიის ჭეშმარიტი დიდოსტატია. ეს მაშინ უფრო გაცნობიერდა, რაც მისი რამდენადმე სრული პოეტური კრებული გამომზეურდა. მისი შემოქმედება განსაკუთრებულია. ყოველი მისი ლექსი სილაღესთან ერთად სიბრძნეს გადმოსცემს. ეს სიბრძნეც გამორჩეული, ზაურ ბოლქვაძისეულია. პოეტს რამდენიმე ლექსი აქვს, სადაც მისი სასწაულებრივად დაკვირვებული თვალით ზოგიერთი მოვლენის დეფინიციაა მხატვრულად მოცემული. ნათლად რომ დავინახოთ, აი ზოგიერთი ამონარიდი:

**„მარადისობას მიანათეს ტატოს თვალებმა!..**
**მარადისობაც დაეწაფა მის თვალებს ხარბად!**
**ტატოს ფეხთაქვეშ დედამიწა დატორტმანებდა“ —**
**კოჭლიც ამიტომ ეგონათ ალბათ!“**

გულწრფელად ვიტყვი — საოცარი ხედვაა; ნიჭიერებით სავსე ადამიანის დანახულია, გამაოგნებელია ორ სტრიქონში თქმული ზაურისეული პარადიგმა:

**„თავისუფლების ძებნაში მკვდრების**
**აჯანყებაა მიწისძვრა — მჯერა“**

ან კიდევ:

**„მთა არის მიწა აჯანყებული —**
**დედამიწაზე დაუტევარი“.**

ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით პოეზიაში მშობლებისადმი კეთილად, სიყვარულით დამოკიდებულების თემა ორგანულია. ზაურ ბოლქვაძე გამოირჩევა დედისადმი განსაკუთრებულად აღმატებული სიყვარულის გამოხატვით (იქნება მამით ობლობაც ამძაფრებს ამ განსაკუთრებულობას). პოეტის მიერ შექმნილი საოცარი ციკლი „დედა. ზამთარი. შუაცეცხლი“ — ესაა დედის სიყვარულის გამოხატვის აპოთეოზი.

**„ახლა და მხოლოდ ახლა**
**მინდა დავკოცნო ზალახი, —**
**მოხუცი დედა ვნახო, —**
**სხვა ნატვრა არ მსურს არაფრის“.**

სულისშემძვრელია ზაურ ბოლქვაძის განწყობა დედის საფლავის ნახვისას:

**„რატომ ამიცრემლე თვალები ცისფრად?**
**რატომ გამიყინე მე თოვლი თმებში;**
**რატომ ჩაიწია საფლავის მიწა!**
**ამ თეთრი აპრილის თვეში?..**

პოეტი შეჰხარის ერთადერთ ჩიტს, რომელიც სასაფლაოს ახლოს მიტოვებული სახლის ეზოში გამხმარ ხეზე ჯდება და „ნაღვლიანად გალობს და დედაჩემს ეძებს“. ამას მოჰყვა ოთხსტრიქონიანი, ჩემი აზრით, შედევრი, რომელშიც კონკრეტული ადამიანის შეხედულებიდან გამომდინარე ზოგადად არის გამოხატული კაცობრიობის ფიქრი და სევდა:

**„გადაუარა ზალახმა**
**საფლავს — სიცოცხლის წერტილს,**
**შენ ჩემთვის როგორ არა ხარ,**
**მე აღარა ვარ შენთვის“.**

* * *

**იშვიათია პოეტი, რომელსაც შვილისადმი ამდენი ლექსი მიეძღვნას. ზაურ ბოლქვაძეს გამორჩეული სიყვარული აქვს ოჯახისა და განსაკუთრებით გაფეტიშებული ჰყავს შვილი — დღესდღეობით საქართველოს საამაყო ხელოვანი ელისო ბოლქვაძე, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ვარსკვლავი — პიანისტი.** პოეტის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, რომ ელისო ზაურ ბოლქვაძის ცხოვრების, მისი არსებობის მთავარი აზრი იყო.

**„შენი წუთისოფლის დღე**
**ნუ გქონოდეს სადარდი,**
**მე თუ ადრე მოგიკვდე,**
**ჩემმა ლოცვამ გაგზარდოს“.**

ზაურ ბოლქვაძემ ელისოს მიუძღვნა ლექსების დიდი ციკლი. შვილზე ენისგამოუთქმელად შეყვარებული პოეტი გზას ულოცავს („ჩემი ლოცვა ელისოს“), მოუწოდებს მამულისადმი სიყვარულს („მშობელ მიწას მოვლა და მზრუნველობა სჭირდება“), მამა-პაპის საფლავებისადმი პატივისცემას, ქვეყნის მტრებისგან დაცვას („აკვნისხელა მამული ვერვინ ვერ მოგიშლის“), ადამიანებისადმი დახმარებას („კაცს თუ დაეხმარები, შვილო, არ დაამადლო“); სიყვარულით მიმართავს:

**„ღმერთს მარტო შენ გადარებ,**
**და მარტო შენ გმორჩილებ!**
**სიამაყით ვატარებ**
**შენზე ფიქრის ბორკილებს“.**

რამდენიმე მინიატიურაც უძღვნა შვილს. აი ზოგიერთი:

**„აფეთქებაა ბაღებს ატმები!**
**ატმებს მარტო შენ აღემატები!“**

ან

**„შვილო ჩემო, ეს გახსოვდეს მეტადრე:**
**„თვალი გრმას გულით უნდა ხედავდე“.**

სამწუხაროა, რომ ზაურ ბოლქვაძე ვერ მოესწრო მისი სათაყვანებელი შვილის დიდ ტრიუმფს. ძვირფასი მამა და თავისი სამშობლო ჭეშმარიტად ასახელა ელისო ბოლქვაძემ.

განსაკუთრებით გულწრფელია ზაურ ბოლქვაძის დამოკიდებულება მეუღლისადმი. ჩვენს პოეტს კეთილშობილებასთან, მოყვასის სიყვარულთან, ოჯახის (რასაკვირველია მეუღლის) ერთგულებასთან ერთად ადამიანური სირთულეებიც გააჩნდა, თუმცა იგი ბედნიერი იყო იმით, რომ ჰყავდა თანამოაზრე მეუღლე, ქალბატონი ნანა. ამას, ცხადია თავადაც კარგად გრძნობდა და აფასებდა კიდეც. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა ძვირფას გულისსწორს.

**„სიცოცხლესავით მინდა**
**შენი სიცოცხლე, ნანა!...“**

პოეტი ხმამაღლა გამოხატავს მეუღლისადმი მადლიერებას:

**„ჩემი სიცოცხლე იყო მოვარდნა,**
**და შენ იყავი ჩემი დამტევი“.**

ერთი რამ ხაზგასასმელია, რომ ზაურ ბოლქვაძის ბოლოდროინდელი ლექსები აშკარად მეტყველებენ პოეტის მელანქოლიურ განწყობაზე, იგი ემზადებოდა მეორე ცხოვრებისათვის. მისი სტრიქონები ანდერძივით ჟღერს და ეს მართლაც ასეა.

**„მიყვარდი და მეყვარები,**
**გულში მუდამ, მარადის,**
**რომ მოვკვდები, ერთ-ორ ცრემლს**
**ნანა, ნუ დამამადლი“.**

განსაკუთრებულია პოეტის მეუღლისა და ქალიშვილისადმი მიმართვა:

**„ალბათ საფლავშიც მომინდება ცრემლები თქვენი,**
**გთხოვთ ნუ იტირებთ ასე ძალიან;**
**ალბათ საფლავში მომწყურდება ტირილი თქვენი**
**და სასიცოცხლო ჟრუანტელი ტანში დამიარს“.**

სულისშემძვრელია ლექსი, რომელშიც ზაური მეუღლეს თხოვნით მიმართავს, რომ როცა კუბოში ჩამაწვენენ და სახლიდან გამასვენებთ, „მოდი და ცრემლები დამაწვეთე, მოდი და სიცოცხლე გამახსენეო“.

* * *

**თუ ზაურ ბოლქვაძის დიდსა და მეტად საინტერესო პოეზიას ზოგადად შევხედავთ, აშკარაა, რომ იგი სიცოცხლის პოეტია. მნიშვნელოვანია მისი პოეზია მიძღვნილი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისადმი, თანაც პოეტის ორიგინალური ხედვა არ ტოვებს მის შემოქმედებას. მისი ლექსები „ღმერთისადმი“, „დავით აღმაშენებელი (ციკლი)“, „შოთა რუსთველი“, „ერეკლე მეორის მიმართვა ქართველთა ლაშქრისადმი კრწანისის ველზე“, „ილია ჭავჭავაძეს“ და სხვ., ქვეყნის ბედით ღრმად დაინტერესებული, მასზე მოფიქრალი ადამიანის ღაღადისია.**

ზაურ ბოლქვაძე იმედით შეჰყურებს ახალგაზრდობას – მომავალს. მას მთელი ციკლი აქვს დაწერილი ახალგაზრდობის თემაზე, მომავლის რწმენაზე, მიაჩნია, რომ სწორედ ამ თაობის თანამგზავრია „მუდმივი რწმენა გზის განახლების“, რადგან ეს განახლება მომავალი თაობისადმი ცის და მიწის ვალად იყო და არის („ახალგაზრდობა იყო და არის, იქნება მარად მისი სახელი!“) აღიარებული.

ორიგინალურია ზაურ ბოლქვაძის „სალაღობო კალეიდესკოპი“ (ასე ეწოდება კრებულში სხვადასხვა პირებისადმი მიძღვნილ განყოფილებას). აქ გამოჩნდა ცხადად პოეტის კეთილშობილება, კეთილგანწყობა ადამიანებისადმი. ესენი ძირითადად მისი მეგობრები არიან, აქვე ნახავთ გამოჩენილ საყოველთაოდ აღიარებულთა შესახებ ე.წ. „ლექსპრომტებსაც“. თანაც პოეტი თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელ და შესაფერის დახასიათებას პოულობს. ამ ვრცელ გალექსვაში მკითხველი გაეცნობა: ნოდარ დუმბაძეს („ხალასი შემოქმედებით გვატკბობ, გვატკბობ, გვაცინებ“), მერაბ ბერძენიშვილს („ზენა ავტორი გენიალური ქანდაკებების“), **ჯანსუღ ჩარკვიანს** („შენი „სიმღერა თბილისზე“, მგვრის აღტაცებას, ტკივილს, ცრემლს“), **გურამ დოჩანაშვილს** („ღვთის ნათელი დაგფენიათ შენ და შენ ცოლ-შვილს“), **თამაზ წივწივაძეს** („პირველ მწერლად და პირველ კაცად გთვლი“), **ოტია იოსელიანს** („და მწერალ-პატრიოტია იგი მსოფლიო მასშტაბის“), **თამაზ ჩხენკელს** („ღირსებაშეულახველი გენიალური ქართველი“), ბიძინა კვერნაძეს („ცოცხალ კლასიკოსებშიაც მაგარია ყველაზე“) და სხვ.

**დასკვნა მარტივია: ზაურ ბოლქვაძის სახით საქართველოს ჰყავს ნიჭიერი, მაღალი ღირსებით შემკული გრწყინვალე პოეტი; იქნებ, ცოტა შეუფასებელი... იქნებ, ნაკლებ დაფასებული.**

**ჩვენი პოეტის შემოქმედება ჭეშმარიტად მის დიდოსტატობაზე ლაპარაკობს. ზაურ ბოლქვაძე თავისი ცხოვრებით, ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიით გამორჩეული, ღირსეულ ქართველ შემოქმედთა შორისაა მოსახსენებელი. პოეტის დაბადებიდან გასული ცხრა ათეული წელი, პოეზიის სამსახურში განვლილი რთული გზა, საზოგადოებას საშუალებას მისცემს რეალურად შეაფასოს იგი და ქართველ შემოქმედთა გალერეაში თავისი ღირსეული ადგილი დაუმკვიდროს.**



**როინ მეტრეველი**

# სულიერი განძი

**გადაფურცლავ კაცი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ აღდგენილი ჟურნალის – „მაცნეს“ ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერიის მე-2 ნომერს და, გარდა იმისა, რომ გული გაგინათდება, სიამაყითაც აღივსები.**

დიახ, საკმარისია გამოცემის მთავარი რედაქტორის – აწ უკვე 85 წლის იუბილარი აკადემიკოსის **ელიზბარ ჯაველიძისა** და ნომრის რედაქტორის – აკადემიკოს **ვალერი ასათიანის** ნამოღვაწარი გაიხსენო, რომ ძალაუნებურად სულის ერთი ამოსუნთქვით გახვალ ასევე ამაგდარ მამულიშვილთა კრებულის – რედკოლეგიის სქელტანიანი ნააზრევის ფინიშამდე. დაგვეთანხმებით, გიორგი ალიბეგაშვილის, ავთანდილ არაბულის, მანანა ახმეტელის, გურამ ბათიაშვილის, ნომადი ბართაიას, მერაბ ბერიძის, შალვა გაბისკირიას, ლევან გიგინეიშვილის, მარინა გიორგაძის, გიორგი გოგოლაშვილის, რისმაგ გორდეზიანის, ინესა მერაბიშვილის, ჯაბა სამუშიას, ნესტან სულავას, მზექალა შანიძის, ვაჟა შენგელიას, მარიკა ჩაჩიბაიას, ელგუჯა ხინთიბიძის, გიორგი ჯანბერიძისა და მარიკა ჯიქიას კალიბრის წიგნიერი საზოგადოების ღირსეულ წევრთა თანავარსკვლავედი ნებისმიერ აკადემიურ წრეს დაამშვენებდა.




განყოფილებათა მიხედვით ავტორთა ფართო სპექტრს აღარ იკითხავთ? ამჯერად მხოლოდ მათი მცირე ნაწილის დასახელებით შემოვიფარგლებით, სრული სიამოვნება კი წინ გელით:

**ენა** – ირინა ჩაჩანიძე;

**ლიტერატურა** – მაყვალა ანთაძე, თამარ ვეფხვაძე, პარმენ მარგველაშვილი, ნანა ტონია, ქეთევან ჯერვალიძე;

**ხელოვნება** – თამაზ სანიკიძე, თამარ ბელაშვილი;

**პორტრეტები** – ნათელა ვაჩნაძე;

**პოლემიკა** – ნინო ჯაველიძე;

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** – ემზარ კვიტაიშვილი.

მოკლედ, მოხერხებულად მოკალათდით მშვიდ სივრცეში, წაიკითხეთ ჟურნალის ეს ნომერი და მიიღეთ უსაზღვრო სულიერი საზრდო...

# ქართველ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე იაპონია ზრუნავს



**საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან ერთად, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაძლიერების მიზნით ახალ პროექტზე მუშაობს. „ორსულებისა და ახალშობილთა მშობლებისთვის მომზადდება სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც დედათა და ბავშვთა უწყვეტი მოვლის ხარისხის გაუმჯობესებას და მშობელთა ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად“,** – აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში. ჯანდაცვის მინისტრი დედათა და ბავშვთა საკითხებში იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს უფროს მრჩეველს, კეიკო ოზაკს შეხვდა. მხარეებმა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები განიხილეს.

**„როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ორსულთა მეთვალყურეობის პროგრამის ფარგლებში სპეციალური სახელმძღვანელოს დანერგვა ბავშვთა უწყვეტი მოვლის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს“,** – აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

# რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლების მოთხოვნები და... არამკითხე ნათელაშვილი

**რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელმა, კლინიკის თანამშრომლებთან ერთად, განცხადება გააკეთა და სამ მოთხოვნაზე ისაუბრა.**

გიორგი დუნდუას თქმით, ითხოვენ, სახელმწიფო დაუბრუნდეს კლინიკის რეაბილიტაციის თავდაპირველ გეგმას, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან კლინიკის დირექტორი და თანამშრომლებს შეხვდეს პრემიერ-მინისტრი.

**„17 თებერვალს ჯანდაცვის მინისტრის მიერ ტელეეთერებიდან გავრცელდა ინფორმაცია კლინიკის დანგრევის აუცილებლობის შესახებ. განცხადებას წინ უძღოდა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმართ არნახული და ბინძური დისკრედიტაციის არაერთი მცდელობა. ეს ის კლინიკაა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას და დაარსების დღიდან დგას ხალხის სამსახურში, თავგანწირვით და ღირსეულად ემსახურება თავის ქვეყანას და მოქალაქეებს. აღნიშნულს მალე მოჰყვა სწორედ ზემოთხსენებული განცხადება, რომ კლინიკა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას და უნდა დაინგრეს, თუმცა არსებობს სახელმწიფოს დაკვეთით შესრულებული კლინიკის რეაბილიტაციის პროექტი. ჩვენი მოთხოვნაა, პირველი – დავუბრუნდეთ რეაბილიტაციის თავდაპირველ გეგმას, არსებული პროექტით, რომელიც ითვალისწინებს კლინიკის რეაბილიტაციას მუშაობის უწყვეტობის პირობებში, აგრეთვე ნებისმიერი სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების პროცესში არსებული სამედიცინო პერსონალის სრულ და უპირობო შენარჩუნებას; მეორე – ვინაიდან კლინიკის მოქმედი დირექტორი არ გამოხატავს კლინიკის ინტერესებს, ეწევა მის დისკრედიტაციას და არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მოვითხოვთ, გაათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან; მესამე – პრემიერ-მინისტრის ბოლო განცხადებიდან გამომდინარე, გვიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მასთან არ მიდის სწორი ინფორმაცია. ამიტომ საკითხის საბოლოოდ დაზუსტების მიზნით, ვითხოვთ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას“,** – განაცხადა რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელმა.



რაც შეეხება რესპუბლიკურ საავადმყოფოში „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის მისვლას, გიორგი დუნდუას თქმით, ემიჯნებიან ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიებს და მოძრაობას.

**„ეს არ არის პოლიტიკური პროტესტი. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თხოვნა ხელისუფლების მიმართ, რომ შენარჩუნდეს აღნიშნული კლინიკის მუშაობა უწყვეტად და გაითვალისწინოს კლინიკის თანამშრომლების თხოვნა. კატეგორიულად ვემიჯნებით ყოველგვარ პოლიტიკურ პროცესს. არ ვმონაწილეობთ არანაირ პოლიტიკურ პროცესში“,** – აღნიშნა რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი დუნდუამ.




## წინ – აპოკალიფსისკენ!

# რუსეთი აშშ-ს განადგურებით ემუქრება!!!

**რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი აცხადებს, რომ რუსეთი მომთმენია და არავის აშინებს თავისი სამხედრო უპირატესობით, მაგრამ მას აქვს თანამედროვე უნიკალური იარაღი, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ნებისმიერი მოწინააღმდეგე, მათ შორის შეერთებული შტატები, თუ მის არსებობას საფრთხე დაემუქრება.**

ნიკოლაი პატრუშევის განცხადებით, ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის პირდაპირი კონფლიქტის შემთხვევაში, შეერთებული შტატების პრევენციული დარტყმის შემდეგ, რუსეთი საპასუხო დარტყმას ვერ შეძლებს. პატრუშევის მტკიცებით, ასეთი მოსაზრება არაშორსმჭვრეტელური და სახიფათო სისულელეა.

**„ფაქტობრივად, ნატოს ქვეყნები კონფლიქტის მხარეს არიან. მათ შექმნეს ერთი დიდი სამხედრო ბანაკი უკრაინიდან. ისინი უგზავნიან იარაღს და საბრძოლო მასალას უკრაინის ჯარებს, მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატების მნიშვნელოვან რაოდენობას. ნატოს ინსტრუქტორები და მრჩევლები წვრთნიან უკრაინელ სამხედროებს. ნატო არ მალავს თავის მთავარ მიზანს – რუსეთის დამარცხებას და მის შემდგომ დაშლას“**, – აცხადებს **ნიკოლაი პატრუშევი.**

ომის კვლევის ინსტიტუტში კი აცხადებენ, რომ **ვლადიმერ პუტინი** კვლავ მიიჩნევს, რომ უკრაინაში გამარჯვება შეუძლია, მაგრამ უკრაინის არმიის წარმატებულმა შეტევებმა, შესაძლოა, აიძულოს ის მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. ექსპერტების განცხადებით, უკრაინელმა სამხედროებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ შეუძლიათ შეცვალონ საომარი მოქმედებების კურსი.

კერძოდ, უკრაინელებმა რუსეთის არმიას ისეთი ზიანი უნდა მიაყენონ, რომ ვლადიმერ პუტინისთვის ცხადი გახდეს, რომ რუსეთის არმიას არ შეუძლია ომის შედეგის გაუმჯობესება.

რუსული არმიის მუდმივი შეტევა ბახმუტის, ავდიივკას და ფრონტის ხაზის გასწვრივ ლუგანსკში და დონეცკის ოლქების დასავლეთ ნაწილში, ექსპერტების შეფასებით, მიუთითებს იმაზე, რომ პუტინი კვლავ ცდილობს გამარჯვებას და ამავდროულად, მოლაპარაკებისთვის არანაირ პირობებს არ აყენებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტები თვლიან, რომ უკრაინამ უნდა წამოიწყოს კონტრშეტევა, რათა დაარწმუნოს პუტინი, დაჯდეს მოლაპარაკებების მაგიდასთან.

გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის, **ვახტანგ კაპანაძის** განცხადებით, არსებობს მოლოდინი, რომ რუსეთი დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და ამის შესაძლებლობაც იქნება, თუკი უკრაინა შესაბამის სამხედრო აღჭურვილობას დროულად მიიღებს. მისი თქმით, უკრაინისთვის ნაკლებად, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ვარიანტი მსოფლიოსთვის, რომ კონფლიქტი გაყინოს. კერძოდ, უკრაინამ დაიბრუნოს ზაპაროჟიე და ხერსონი, ხოლო ლუგანსკი, დონეცკი და ყირიმი დარჩეს რუსეთის კონტროლს ქვეშ, ანუ განმეორდეს კორეიზაციის ვარიანტი.

**„ასეთი ვითარება შეიძლება ჩამოყალიბდეს, რაც ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება. ის, რომ რუსეთი დაიშალოს, ამისთვის ცოტა სხვა მოქმედებები სჭირდება დასავლეთს და სხვა ტიპის დახმარება უკრაინას. ფაქტია, რომ სამხედრო დახმარების მხრივ, უკრაინა სრულად დამოკიდებულია დასავლეთზე და შესაბამისად, დასავლეთს სიტყვა ეთქმის უკრაინელებთან, ახლა მთავარია რას გადაწყვეტს დასავლეთი. რუსეთს რომ არ შეუძლია და შეტევების პოტენციალი არ აქვს, ეს ფაქტია, პატარა ტაქტიკურ შეტევებს არ ვგულისხმობ, მაგრამ მას გააჩნია ძალა, დაიცვას მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები“**, – აცხადებს **ვახტანგ კაპანაძე** და მიიჩნევს, რომ მობილიზაციის მეორე ეტაპი დაიწყება მაისში, რაც არ იქნება ადვილი, რადგან 2 თვეში ვერ შეკრიბენ იმ კონტინგენტს, რომელიც მათ სჭირდება.

მისი თქმით, ახალი მობილიზაციის შედეგი იქნება შემოდგომისთვის, სწორედ შემოდგომისთვის აპირებენ ამერიკელები ტანკების მიცემას უკრაინისთვის.

**„იცით, რომ რეზერვის გაწვევა შეწყვიტეს, ეგონათ, რომ 400 ათასი საკმარისი იქნებოდა, მაგრამ არ გამოუვიდათ. იმ 400 ათასიდან, რომელიც გაგზავნილი იქნა უკრაინაში, ნაწილი დაიკარგა, ნაწილი როტაციას მოითხოვს და შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ არ ყოფნით ძალა და თავიდან დაიწყეს მობილიზაცია. ახლა ჩანს, რომ უკრაინა ვერ გადადის შეტევაზე. თუ არ დააგროვა შესაბამისი ძალები და ასე დახარჯა იარაღი ბახმუტისთვის ბრძოლაში. ასეთ შემთხვევაში, ვერ დააგროვებს დიდ ძალას და ექნება ასე გაუთავებელი 800 კილომეტრზე გადაჭიმული სანგრების დაპირისპირება.**

**რაც შეეხება პატრუშევის განცხადებას, ნატოს მიზანი რომ რუსეთის დაშალა იყოს, მაშინ ჩნდება მარტივი კითხვა – რატომ არ აძლევს უკრაინას იმ იარაღს, რომელიც 500 კილომეტრს აღწევს და დაარტყამს რუსეთის ტერიტორას, ან ყირიმს? რატომ არ აძლევს თვითმფრინავებს, ან საბრძოლო ხომალდებს? რუსები ბევრ რამეს იძახიან, ასე დღემდე შეზღუდულ ოპერაციებს ატარებენ უკრაინაში“**, – აცხადებს **ვახტანგ კაპანაძემ.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** თვლის, რომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ნატოს სამხედრო სტრატეგიული მიზნები. ამ ეტაპზე, წვდომა გვაქვს ღია სახის ინფორმაციებზე და ზოგადად, პოლიტიკურ განცხადებებზე. რაც შეეხება „საიდუმლო გრიფით“ დაწერილ გეგმებს, ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. აქედან გამომდინარე, კუხალაშვილი ფიქრობს, რომ ნატოს და ზოგადად, ყველა იმ სახელმწიფოს ინტერესში არ შედის რუსეთის დაშლა, რომელიც ჩართულია ამ კონფლიქტში რუსეთის საწინააღმდეგოდ. მათ ინტერესში შედის არსებული ხელისუფლების ჩამოცილება ხელისუფლების სადავეებიდან და მათთვის სასურველი ხელისუფლების მოყვანა.

**„ვფიქრობ, რომ ამ სტრატეგიული მიმართულებით ხორციელდება ღონისძიებები და სწორედ ის თავშეკავება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ არასაკმარისი სამხედრო დახმარება. რაც შეეხება კონფლიქტის დასრულებას, ვფიქრობ, რომ აშშ-ის ინტერესში უნდა შედიოდეს ამ კონფლიქტის დასრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენები შეიძლება უფრო მძიმედ განვითარდეს.**

**გარკვეულწილად უკრაინა მიმართავს აქტიურ ღონისძიებებს, რათა რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელდეს სამხედრო მოქმედებები და ვფიქრობ, ასეთი ჩაუქრობი ხანძრის ინსპირირებას ჯობია, მოხდეს მხარეებს შორის გარკვეული დაშორიშორება. მართალია, ამ კონფლიქტით იფიტება რუსეთი, მაგრამ სამწუხაროდ, ნადგურდება უკრაინა და ყველაზე მთავარი გახლავთ ის, რომ ნადგურდებიან ადამიანები. ურთულესი ვითარებაა და ამიტომ აუცილებელია კონფლიქტის დროზე დასრულება“**, – აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

# რა არის ტაქტიკური ბირთვული იარაღი?!

## რას აპირებს და რა შეუძლია რუსეთს?

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 25 მარტს განაცხადა, რომ ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს განათავსებს მეზობელი ბელარუსის ტერიტორიაზე და დასძინა, რომ ეს არ შეეწინააღმდეგება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებულ არსებულ შეთანხმებებს.**

**რა იარაღზეა ლაპარაკი და როგორია რუსეთის პოლიტიკა?**

### რა საფრთხე არსებობს

**აშშ-მა განაცხადა, რომ მსოფლიო დღეს უდიდესი საფრთხის წინაშე დგას, რომლის მსგავსიც 1962 წლის კუბის კრიზისის შემდეგ არ გვინახავს. ამის მიზეზი პუტინის მიერ გაკეთებული განცხადებებია. მოსკოვი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის პოზიცია არასწორად იქნა წარმოჩენილი.**

კიევი და მისი დასავლელი მოკავშირეები შიშობენ, რომ კრემლმა შესაძლოა უკრაინაში ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს, რადგან პუტინმაც და სხვა მაღალჩინოსნებმაც განაცხადეს, რომ რუსეთი მზად იყო თავდაცვის მიზნით მთელი არსენალი გამოეყენებინა.

### რა არის ტაქტიკური ბირთვული იარაღი

**ამ ტერმინის ზუსტ განსაზღვრებასთან დაკავშირებით წლებია, რაც დავა მიმდინარეობს. ძირითადი განსაზღვრება ასეთია: ესაა ბირთვული იარაღი, რომელსაც ბრძოლის ველზე კონკრეტული ტაქტიკური მიზნით იყენებენ და არა, ვთქვათ, აშშ-ის ან რუსეთის დიდი ქალაქების გასანადგურებლად.**

ცოტამ თუ იცის, ზუსტად რამდენ ასეთ იარაღს ფლობს რუსეთი, რადგან ეს სფერო კვლავაც ცივი ომის დროინდელი საიდუმლოებითაა დაფარული.

მიიჩნევა, რომ რუსეთს ბევრად მეტი ტაქტიკური ბირთვული იარაღი გააჩნია, ვიდრე აშშ-ს ან ნატოს: ამერიკელები ფიქრობენ, რომ კრემლის განკარგულებაში დღეს 2 ათასამდე ამგვარი ტაქტიკური ქობინია – ვაშინგტონს ათჯერ ნაკლები აქვს. ტაქტიკური ბირთვული ქობინი შეიძლება განთავსდეს სხვადასხვა ტიპის რაკეტებზე, რომლებიც გამოიყენება ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდებისთვის, როგორიცაა ფრთოსანი რაკეტები და საარტილერიო ჭურვები. მათი გასროლა შესაძლებელია თვითმფრინავებიდან და გემებიდან.

აშშ-ს 200 200 ტაქტიკური ბირთვული იარაღის ნახევარი ევროპაშია განთავსებული – 0,3-იდან 170 კილოტონამდე სიმძლავრის ატომური ბომბები იტალიის, გერმანიის, თურქეთის, ბელგიისა და ნიდერლანდების საჰაერო ბაზებზეა გადანაწილებული. 1945 წელს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაზე ამერიკის მიერ ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრე დაახლოებით 15 კილოტონა იყო.



### ვინ გასცემს ბრძანებას რუსეთში?

**რუსეთის ბირთვული დოქტრინის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს – სტრატეგიულ და არასტრატეგიულ ატომურ იარაღთან დაკავშირებით.**

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშ-

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი მითაგვარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი მითაგვარია (პ/ნ 19001066103), ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქ. №69

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ზუგდიდი, ს. კახათი (საკადასტრო კოდი: 43.17.45.476 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 51653.88 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 30 მარტი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 აპრილი, 16:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87951623;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 879516

6. **მოვალე:** ირაკლი მითაგვარია (პ/ნ 19001066103), ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქ. №69

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
  აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87951623; ლოტის ნომერი: 879516).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 აპრილის 12:00 საათამდე.

## აშშ დახმარებას თუ შეწყვეტს, უკრაინა ვერ გაიმარჯვებს

**უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ თუ აშშ შეწყვეტს უკრაინის დახმარებას, მაშინ უკრაინა ვერ გაიმარჯვებს.**

მისივე თქმით, ომის ამ ეტაპზე უკრაინის ნებისმიერმა მარცხმა შესაძლოა, სავალალო შედეგი გამოიწვიოს. **„ჩვენ არ უნდა წავაგოთ ამ გზაზე, რადგანაც ომი არის ნამცხვარი, რომელიც შედგება გამარჯვებებისგან. პატარა გამარჯვებები, პატარა ნაბიჯები“,** – ამბობს ზელენსკი. ამავე ინტერვიუში ზელენსკი ვარაუდობს, რომ ქალაქ ბახმუტისთვის ბრძოლის წაგების შემთხვევაში, მასზე ზეწოლა გაიზრდება, როგორც საერთაშორისო საზოგადოებისგან, ისე ქვეყნის შიგნითაც. მისივე თქმით, **„ამ გამარჯვებას პუტინი დასავლეთს, საკუთარ საზოგადოებას, ჩინეთსა და ირანს მიჰყიდის“. „ჩვენი საზოგადოება დაღლილობას იგრძნობს. ჩვენი საზოგადოება მიბიძგებს მათთან კომპრომისისკენ“,** – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

## ზელენსკიმ სი ძინპინი უკრაინაში მიიწვია

**მე მსურს სი ძინპინთან საუბარი,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ „ასოშიეითიდ პრესთან“ ინტერვიუში განაცხადა. ზელენსკიმ ჩინეთის ლიდერი უკრაინაში მიიწვია. **„ჩვენ მზად ვართ, ის აქ ვიხილოთ. მე მსურს მასთან საუბარი. მე მქონდა მასთან კონტაქტი სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამდე, მაგრამ ამ წლის განმავლობაში აღარ მქონია კონტაქტი“,** – განაცხადა ზელენსკიმ.

ლის დროს რუსეთს დაახლოებით 22 ათასი ტაქტიკური ბირთვული იარაღი ჰქონდა. აშშ-ს – 11 500. ამ იარაღის უმეტესობა განადგურდა, ან განადგურებას ელის.

დარჩენილი ბომბები 30 სამხედრო ბაზაზეა გადანაწილებული. ისინი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მეთორმეტე სამმართველოს პასუხისმგებლობაშია. სამმართველოს იგორ კოლესნიკოვი ხელმძღვანელობს, რომელიც უშუალოდ თავდაცვის მინისტრის ქვეშევრდომია.

ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების გადაწყვეტილების მიღებამდე პუტინი, სავარაუდოდ, კონსულტაციას გაივლის რუსეთის უშიშროების საბჭოსთან, შემდეგ კი გენერალურ შტაბს უბრძანებს, რომ ქობინი გაამზადონ საბოლოო ბრძანების მიღების მოლოდინში.

კრემლი აშშ-ის პასუხს წინასწარ ვერ განსაზღვრავს, ამიტომ რუსეთის მთელი ბირთვული პოზიცია შეიცვლება: წყალქვეშა ნავები ზღვაში გავლენ, სარაკეტო ძალები სრულ მზადყოფნაზე გადავლენ და ბაზებზე სტრატეგიული ბომბდამშენები გამოჩნდებიან, რომლებიც დაუყოვნებლივი აფრენისთვის იქნებიან მზად.

### ბირთვული იარაღის განთავსება

**საბჭოთა კავშირის შემდეგ აშშ-მა დიდი ძალისხმევა გაიღო, რომ საბჭოთა ბირთვული არსენალი, რომელიც ბელარუსში, ყაზახეთში და უკრაინაში იყო განთავსებული, რუსეთს დაბრუნებოდა. მას შემდეგ რუსეთს არ განუცხადებია, რომ თავის საზღვრებს გარეთ განათავსებდა ამგვარ იარაღს.**

პუტინის მტკიცებით, ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსება არსებულ შეთანხმებებს არ ეწინააღმდეგება.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მიხედვით ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანას არ შეუძლია ატომური იარაღის ან ტექნოლოგიის გადაცემა ქვეყნისათვის, რომელსაც ბირთვული იარაღი არ გააჩნია. ამავე დროს, ეს ხელშეკრულება უშვებს, რომ ასეთი იარაღი განთავსდეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ, თუმცა მისი კონტროლის ქვეშ – როგორც აშშ-ს აქვს განთავსებული ატომური იარაღი ევროპაში.

**მასალა Reuters-ის მიხედვით მოამზადა**
**გაი ფოლკონბრიჯმა**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ოლეგი მარგველანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ოლეგი მარგველანი (პ/ნ 12001027046), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბანი, სოფელი კრწანისი (საკადასტრო კოდი: 81.04.22.071).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18176.39 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 30 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87952723;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 879527

6. **მოვალე:** ოლეგი მარგველანი (პ/ნ 12001027046), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33;
ნიკო მარგველანი (პ/ნ 12001093579), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87952723; ლოტის ნომერი: 879527).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 აპრილის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გოგიტა ადამაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოგიტა ადამაძე (პ/ნ 53001017743), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №79

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №79 (საკადასტრო კოდი: 29.17.31.023 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 35548.07 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 30 მარტი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 12 აპრილი, 16:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP87952923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 879529

6. **მოვალე:** გოგიტა ადამაძე (პ/ნ 53001017743), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის №79;
ლელა ტეფანია (პ/ნ 53001017738), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის №79.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP87952923; ლოტის ნომერი: 879529).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 12 აპრილის 12:00 საათამდე.

◎ ევრო – 2024



# მოვთოკოთ ემოციები

**მაქსიმალიზმი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ცუდია, როცა ადამიანს ზომიერების გრძნობა ღალატობს და მოვლენათა ობიექტურად შეფასების უნარს კარგავს.**

ასეთი შესავალი საქართველო – ნორვეგიის შესარჩევი შეხვედრის შემდეგ მოსმენილმა რეცენზიებმა მიკარნახა, რომელიც, ბუნებრივია, უმეტესწილად სუბიექტურ შეხედულებებს შეიცავდა – ჩვენ ხომ ხშირად ემოციები გვმართავს:

**საქართველო – ნორვეგია – 1:1**

**პირველი ტაიმი – 0:1**

**გოლები:** სორლოტი (მე-15 წუთი), მიქაუტაძე (61-ე წუთი).

უპირველესად, საკითხავია – ქულა მოვიპოვეთ თუ 2 ქულა დავკარგეთ? სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით, ძლიერი ქარის თანხლებით ბათუმის აჭარაბეთ არენაზე გამართული ორი განსხვავებული ტაიმის გათვალისწინებით, საბოლოო შედეგით ცალსახად კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, რადგან ჰალანდის გარეშე მოთამაშე მეტოქემ უძლიერესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და ჯვაროსნებთან შედარებით, გამარჯვებასთან გაცილებით ახლოს იყო.

სხვა თუ არაფერი, სტუმართა ძირითადი ბირთვი ევროპის საფეხბურთო ტოპ-ქვეყნების წამყვანი კლუბების ღირსებას იცავს, უთანასწორო ბრძოლის გმირის – მამარდაშვილის კარს კი სულაც ინგლისის პრემიერლიგის (საუთჰემპტონი), იტალიის სერია – ა-სა (რომა) და ესპანეთის ლა ლიგის (სოსიედადი) წარმომადგენელთა ტრიო უტევდა მაშინ, როცა ამ მხრივ ჩვენ სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს (ვალენსია, ნაპოლი).

ზემოთ კლიმატური პირობები შემთხვევით არ მიხსენებია – ბევრი მასპინძელთა იმედგაცრუებას ცუდი ამინდით ამართლებს, თითქოს ვიკინგებისთვის იდეალური პირობები ყოფილიყოს და ავიწყდება, თავის დროზე როგორ კოკისპირულ წვიმაში, წმინდა წყლის ინგლისურ თავსხმაში დასცა თბილისის დინამომ ლივერპული.

სხვათა შორის, იმ ისტორიულ წარმატებასთან პარალელის გავლება სავსებით ლოგიკურად მესახება, რადგან გენიალურმა ნოდარ ახალკაცმა მრავლისმნახველი კოლეგა ბობ პეისლი ტაქტიკურად სწორედ შესვენების შემდეგ დააჩოქა. მართალია, ამჯერად მხოლოდ ფრეს მივაღწიეთ, მაგრამ უმადურნი ვიქნებით, წუწუნი დავიწყოთ, მით უმეტეს, როცა, როგორც იქნა, სპორტული იღბალიც ჩვენი მეკავშირე იყო, განსაკუთრებით რამდენიმე ეპიზოდში (ბერგი, ოდეგორი).

და ბოლოს: მოგეხსენებათ, არსებობს გამოთქმა – თამაში გასახდელშივე წააგესო, რაც სუსტ ფსიქოლოგიურ მომზადებასა და ლიდერის არყოფნაზე მეტყველებს. საბედნიეროდ, უსახური პირველი ტაიმის შემდეგ თვისობრივად სასიკეთოდ შეცვლილი თამაშის ხარისხი და ვილი სანიოლის მიერ განხორციელებული გარდამტეხი ცვლილებები იმედს გვაძლევს, რომ მორიგ გასვლით რაუნდებში (**17 ივნისი** – კვიპროსი, **20 ივნისი** – შოტლანდია) კვარაცხელია. და კამპანია საკუთარი სცენარით იბურთავებს.

**შოტლანდია – ესპანეთი 2:0.**

ევროპის ჩემპიონატის „ა“ ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა: შოტლანდია – 6, ესპანეთი – 3, საქართველო, ნორვეგია – 1-1, კვიპროსი – 0 ქულა.

◎ ტრიუმფი

# ოჩიგავას დუბლი



**ალბანეთში მიმდინარე ჭაბუკ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 81 კგ. წონით კატეგორიაში ლევან ოჩიგავამ ატაცში ჯერ 137, შემდეგ კი 143 კგ. დაძლია და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.**

ქართველმა შტანგისტმა აკვრაში 172, 176 და 179 კგ. დააფიქსირა და ოქროს მედალი დაისაკუთრა. ლევან ოჩიგავამ ჩემპიონობა ორჭიდის ჯამშიც იზეიმა – მისი შედეგი 322 კგ-ია.

◎ აღთქმულ მიწაზე

# გამორიცხული არაფერია

**მოგეხსენებათ, ისრაელი ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვან უღრუბლო ურთიერთობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე ხანდახან ფაქტები, რბილად რომ ვთქვათ, დისკომფორტს რომ გვიქმნის.**

ამჯერად საუბარი გვიწევს თელ-ავივის ნოკია არენაზე საკალათბურთო ევროლიგის შეხვედრის დროს ადგილობრივ გულშემატკივართა მიერ მოწყობილ პროვოკაციაზე,



რასაც შედეგად მაკაბის სტუმრის ბოლონიის ვირტუსის ქართველი ლიდერის თორნიკე შენგელიას ტრიბუნისკენ გაწევა მოჰყვა. მართალია, იგი თანაკლუბელებმა შეაჩერეს, მაგრამ თვით ის სიტყვიერი შეურაცხყოფაა აღმაშფოთებელი, რამაც იტალიური კლუბის ლიდერს წონასწორობა დააკარგვინა

როგორც ცნობილია, ამ დღეებში აღთქმულ მიწაზე საპროტესტო ტალღა აგორდა, რაც პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ვიმედოვნებთ, სპორტულ სარბიელზე დანთებული ცეცხლი მხოლოდ დედაქალაქის ქუჩებში ნასროლი მოლოტოვის კოქტეილების გამოძახილია და შორსმიმავალ პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავს, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ მთლად ბოლომდე არც აღნიშნული გარემოებაა გამოსარიცხავი – ქართული სახელმწიფოს მტრებს ხომ ფესვები სრულიად მსოფლიოში აქვთ გადგმული.

**თვით მატჩი მასპინძლებმა მოიგეს – 111:80, შენგელიამ კი 5 ქულა მოაგროვა.**

◎ ბრძენთა თამაში

# მედლების მოლოდინში

**მონტენეგროს ქალაქ პეტროვაცში მიმდინარე ქალ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატის მე-10 ტურში მერი არაბიძემ თეთრი ფერის ფიგურებით პაულინ გიშარი 73-ე სვლაზე დაამარცხა და 8 ქულით, ოლივია კოლბასასთან ერთად, პირველ ადგილზეა.**

ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ლიდერთა შესანიშნავ შვიდეულში სამი ქართველი მონაწილეა – მერი არაბიძე პირველობას ოლივია კოლბასასთან ერთად ინაწილებს, სალომე მელია III-IV ადგილებს სტავრულა ცოლაკიდუსთან ერთად იყოფს, ხოლო ლელა ჯავახიშვილი VII ადგილზეა.

**დასკვნით გადამწყვეტ ტურში ქართველი მოჭადრაკეების მეტოქეები არიან:**

**სალომე მელია – მერი არაბიძე;**

**პაულინ გიშარი – ლელა ჯავახიშვილი;**

**კარინა ციფკა – ბელა ხოტენაშვილი.**



# პეპერას ბარათი

**გამარჯობა, შვილო ხვიჩა!**

არ გეხამუშოს, ასე შინაურულად რომ მოგმართავ! ისეთ ასაკში ვარ, იმდენი წლისა ვარ, სულ მალე რამდენ ბურთსაც გაიტან ხოლმე ყოველ სეზონზე მეტოქე გუნდის კარში: 91.

ასე რომ, ჩემი ხნის კაცს შვილად და შვილიშვილადაც კი არა, შვილთაშვილადაც კი შემეფერები. ჰოდა, დიდება ღვთისმშობელს, ჩემი ცხოვრების მიწურულს ასე მოულოდნელად რომ გაუჩინა შენი თავი შენს ბედნიერ მშობლებსა და შენსავე მშობელ ერს!

წარმომიდგენია, როგორ ბედნიერ წუთებს განიცდიან შენი საყვარელი მშობლები, ახლობლები თუ მეგობრები, აქაური თუ უცხოელი შენი გულშემატკივრები, როდესაც ელვის უსწრაფესად მოსხლტები ხოლმე ადგილიდან, უკან მოიტოვებ თავგზააბნეულ მცველებს, აფორიაქებული გოლკიპერი ვოლიერში გამომწყვდეული ჯიქივით აქეთ-იქით აწყდება ძელებს, ცდილობს გამოიცნოს, კარის რომელ კუთხეში დაარტყამ, მაგრამ უკვე გვიანია: ან მარჯვენა ზედა კუთხეში, ან მარცხენა ქვედაში ფართხალებს ყუმბარასავით გატყორცნილი ბურთი ბადეში!

– კვა-რა, კვა-რა! – შიგადაშიგ: – ხვი-ჩა! ხვი-ჩა! – გუგუნებს და ზანზარებს ტრიბუნები.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ვარსკვლავების კაბადონზე მეტეორივით შენი ასე უეცარი გამოჩენით ისეთი იმედით აღვივსენით ყველანი, მოზღვავებული ენერგიის ისეთი ჭავლით, ზოგზოგიერთნი სნეულებისგანაც კი განვიკურნენით:



„ხვიჩა-მიცინი“

ვის შაქარი დაეწია, ვის – წნევა თუ პულსი.

მე, მაგალითად, ვითარცა ასაკის შესაბამისად დავრდომილს, ე. წ. „გადასხმებს“ მთავაზობდნენ ექიმები, მაგრამ თავისთავად გამოვმჯობინდი. ეს განსაკუთრებით მაშინ ვიგრძენი, როდესაც შენ, შენს დიდებულ მეწყვილესთან, ვიქტორ ოსიმენთან და, საერთოდ, „ნაპოლის“ ბიჭებთან ერთად, შავი დღე გაუთენეთ არცთუ იოლად ხელწამოსაკრავ „იუვენტუსს“ (5:1).

ჩემო ხვიჩა, დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა, უამრავი გეფერება და გექებადიდება, მაგრამ მინდა, ცოტათი მაინც ორიგინალური გამოვჩნდე და, რახან წეღან სნეულებები ვახსენე, შენ უკვე ხარ შესანიშნავი ახალი სამკურნალო პრეპარატი სახელწოდებით – „ხვიჩამიცინი“! თანაც, რა პოზიტიურადაც ჟღერს – „ხვიჩა, მიცინი“!

სხვათა შორის, მსოფლიო საფეხბურთო ბირჟაზე ისეთი აჟიოტაჟია ატეხილი, რომ შენმა წლიურმა ხელფასმა – ორ-ნახევრმა მილიონმა ევრომ, სავარაუდოდ, იბარტყოს და, თუ არ გასამკეცდეს, გაორკეცდეს მაინც!..

„ესეც ასე!“ – იტყოდა ხოლმე ცხონებული მამაჩემი, როდესაც სიმინდის თოხნისას სვრელს აათავებდა.

მგონია, რომ, ასე თუ ისე, მეც ავათავე პირველი სვრელი.

ახლა კი, დროა, ცოტა პატრუქდაწეულმა გესაუბრო, მოდური ტერმინი რომ გამოვიყენო, პრევენციულად, რადგან შენ ჯერ ისევ ჭაბუკი ხარ (ღმერთმა ქნას და მომდევნო 22 წელიწადი სულ სტადიონებზე გამყოფოს!) და, გლეხკაცურად რომ ვთქვათ, „თავში არ აგვივარდეს“!

დავიწყებ იმით, რომ შენ, როგორც უკვე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, ცარიელ ადგილზე არ მოსულხარ! „ქართულ ფეხბურთს“ (დიახაც, „ქართულ კინოსთან“, „ქართულ თეატრთან“ ერთად, არსებობდა და, იმედია, კვლავაც იარსებებს „ქართული ფეხბურთიც!“) მსოფლიოში განთქმული ფეხბურთელები ჰყავდა. ყველას ჩამოთვლა ძალიან ძნელია, ამიტომ თითოეული ეპოქიდან თითო სპორტსმენით დავკმაყოფილდეთ: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი...

გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი უდავოდ გენიალური ფეხბურთელი იყო, სხვათაგან მათ კიდევ ერთი რამ განასხვავებდა – ეს გახლდათ დარბაისლობის ხიბლი!

ვინღა არ მახსოვს და რაღა არ მახსოვს, მაგრამ არ მაგონდება არცერთი შემთხვევა, რომ, ვთქვათ, პაიჭაძეს, რაგინდარა პრინციპულ შეხვედრაში ბურთი გაეტანოს და მაყურებელთა ტაშის ფონზე, ცირკის აკრობატივით, ორ-სამჯერ ყირაზე გადასულიყოს!

გინდაც მიხეილ მესხს, ანალოგიურ შემთხვევაში ციგურებით მოსრიალესავით მუხლებზე ეხოხიალოს!

შენ საკმაოდ თავდაჯერებული და გაწონასწორებული ბიჭი ჩანხარ, რაც დროთა განმავლობაში, იმედია, კიდევ უფრო გამოიკვეთება, მაგრამ, რასაც ახლა გეტყვი, ჩვენს შორის დარჩეს: აღარ მახსოვს, ცხრა თუ ათ თებერვალს ვის მოუგეთ 3:0, მაგრამ როცა შენ ბრწყინვალედ შეასრულე დარტყმა და ბურთი ბადეში გაახვიე, ემოციამ გძლია და შენც

# დიდმარხვის მე-5 კვირიაკე, ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენება



2 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს მარიამ მეგვიპტელს.

...ცნობილია, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელი მარიამი 17 წლის განმავლობაში ცოდვებში ცხოვრობდა, სანამ მოწყალე უფალმა იგი სინანულად არ მოაქცია. იგი გახდა მკაცრი მოღვაწე, თავისი გული სულიწმინდის სუფთა ტაძრად აქცია, იორდანეს წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მცხოვრები ბერი ზოსიმე, ღვთის განგებით, უდაბნოში ღირს მარიამთან შეხვედრას ეღირსა, როდესაც მარიამი უკვე ღრმა მოხუცებული იყო... ასე იქცა ღირსი მარიამი უდიდესი ცოდვილიდან უდიდეს წმინდანად, და მონანიების ასეთი ნათელი მაგალითი დაგვიტოვა.

**გიული ლიპარტია**

## საფრანგეთში საპროტესტო აქციები გრძელდება



**საფრანგეთში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე 200-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. საფრანგეთის შს სამინისტროს ინფორმაციით, დაშავებულია 175 პოლიციელი.**

პარიზსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ქუჩებში ასიათასობით ადამიანი გამოვიდა. აქციის მონაწილეთა ნაწილმა ნაგვის ბუნკერები დაწვა და მაღაზიები გაძარცვა. პოლიციამ მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

## ოპოზიციური პარტიები ერდოღანის წინააღმდეგ

**თურქეთში ოპოზიციური პარტიები რეჯეფ თაიფ ერდოღანის საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოხსნას ითხოვენ. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ამ მოთხოვნით სამი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა უკვე მიმართეს თურქეთის უმაღლეს საარჩევნო კომისიას.**

როგორც ისინი აცხადებენ, ერდოღანი უკვე იყო ორჯერ არჩეული ქვეყნის პრეზიდენტად და მესამედ კენჭისყრის უფლება არ აქვს. ოპოზიციონერების თქმით, ერდოღანს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ თურქეთის პარლამენტი რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავდა. თავის მხრივ, თურქეთის მმართველ პარტიაში განაცხადეს, რომ ერდოღანის არჩევნებში მონაწილეობის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. მათი თქმით, 2018 წელს თურქეთის კონსტიტუციაში შესული ცვლილებების შემდეგ, ერდოღანი პირველად იყო არჩეული პრეზიდენტად მმართველობის ახალი სისტემის პირობებში, შესაბამისად მისი წინა საპრეზიდენტო ვადა აღარ უნდა იყოს გათვალისწინებული. თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სია საარჩევნო ადმინისტრაციამ 31 მარტს უნდა გამოაქვეყნოს. არჩევნები თურქეთში 14 მაისს უნდა გაიმართოს.

## ისრაელი არ არის კიდევ ერთი ვარსკვლავი ამერიკის დროშაზე

ასე გამოეხმაურა ისრაელის უსაფრთხოების მინისტრი **იტამარ ბენ-გვირი** აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის კრიტიკას სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით.

**„მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი აფასებს იქ დემოკრატიულ რეჟიმს, სწორედ ამ რეგიონთან მიმართებით უნდა გაიგონ, რომ ისრაელი დამოუკიდებელი ქვეყანაა და არ არის ვარსკვლავი აშშ-ის დროშაზე. მთელ მსოფლიოში ცხადი უნდა იყოს – ხალხი წავიდა არჩევნებზე და თავისი სურვილები აქვს“,** – აღნიშნა ისრაელის უსაფრთხოების მინისტრმა.

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებებს ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრი მიკი ზოჰარიც გამოეხმაურა. **„გული მწყდება იმის დანახვაზე, თუ რამდენად დიდი ზიანი მიაყენა ისრაელს ყალბმა ამბებმა, რომლებიც გავრცელდა ჩვენს სამართლებრივ რეფორმასთან დაკავშირებით“,** – თქვა მიკი ზოჰარმა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი, ბენიამინ ნეთანიაჰუ კი სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით ჯო ბაიდენის კრიტიკას არ იღებს და აცხადებს, რომ ვერ მიესალმება საზღვარგარეთის ზეწოლას, თუნდაც საუკეთესო მეგობრებისგან.

**„ჩემი ადმინისტრაცია მოწოდებულია, გააძლიეროს დემოკრატია ხელისუფლების სამ შტოს შორის სათანადო ბალანსის აღდგენის გზით, რასაც, ჩვენ ვცდილობთ, მივაღწიოთ ფართო კონსენსუსით. ისრაელი სუვერენული ქვეყანაა, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს თავისი ხალხის ნებით და არა უცხოეთიდან, მათ შორის საუკეთესო მეგობრების ზეწოლაზე დაყრდნობით“,** – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

### მარად მოსაგონარი

## ვაჟა შუბლაძე „უნარი სხვისი გახარების მიბოძო უნდა!..“



**მიილია 40 დღე... მისი სპეტაკი სული ზეცად ამაღლდა და ღირსეულად დამკვიდრდა იმქვეყნიურ სასუფეველში.**

**ჩვენ შორის აღარ არის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ვაჟა შუბლაძე.**

**„ყოვლად ძლიერო, გახარება თუ გინდა ჩემი, უნარი სხვისი გახარების მიბოძო უნდა!“ – სწორედ ვაჟა შუბლაძე იყო ის კაცი, რომელიც სხვისი გახარების და გაბედნიერების საოცარ ნიჭსა და უნარს, მართლაც რომ ღმერთის წყალობით ავლენდა. მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება, დიდი ორგანიზატორული თვისებების მქონემ, ქვეყნისთვის და ადამიანებისთვის უსაზღვრო, უანგარო ზრუნვასა და სიკეთის თესვაში გაატარა.**

**დიდი იმედის და სიხარულის საყრდენი გამოეცალა მის უსათნოეს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, განსაკუთრებით მისთვის უსაყვარლეს შვილიშვილებს – გიორგის, ანოს და ნიკოლოზს. დარწმუნებული ვართ, რომ ბაბუს სითბო, სიბრძნე, გონიერება და ნიჭიერება მათი ცხოვრების და წარმატებების გზამკვლევი იქნება.**

**ვაჟა შუბლაძე, გარეგნობით სასიამოვნოდ მშვენიერი პიროვნება, როგორც მაღალი სამსახურებრივი იერარქიის დროს, ასევე როგორც მეგობარი, ყოველთვის იყო უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული, თავაზიანი, გულისხმიერი, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი, ერთგული, უღალატო, დიდი კაცი. მასთან შეხვედრა თუ საუბარი, კეთილმოსურნეობის გამორჩეულად ამაღლებულ განწყობას გიქმნიდა და არასდროს დაგავიწყდებოდა.**

**ის ყოველმხრივ ღირსეული და ლამაზი კაცი იყო, კაცი რომელიც მართლაც დააკლდა ქვეყანას, 76 წლის ასაკში, იდუმალ მარადისობაში, უეცრად, მოულოდნელად და ლამაზად წავიდა. დაგვიტოვა დიდი ტკივილი, მოუშუშებელი იარა და არდავიწყების მარადიული გრძნობა.**

**უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული ზეციურ საქართველოში!**

**მეგობრები**

# ხვიჩა კვარაცხელიას

„წაგცდა“ მუხლებზე გასრიალება! ნუ, შვილო, ნუღარ იზამ ამას! მეტოქემ იხოხიალოს. შენ სხვა გორისა ხარ!

მიხეილ მესხი ბურთს რომ გაიტანდა, ემოციას ძალიან ინერტულად გამოხატავდა – უბრალოდ, მარჯვენა ხელს აღმართავდა ხოლმე.

ან დავით ყიფიანი უნახავს ვინმეს, ბურთის გატანის შემდეგ ან ხმის ჩახლეჩამდე მოღრიალე, ან კიდევ უარესი – ხელების ჟესტიკულირებით უხამსობის გამომხატველი?!

დავით ყიფიანი დიდგვაროვანი თავისთავად გახლდათ, მაგრამ დიდბუნებოვანიც გახლდათ, დენდი, გრანდი. უბრალოდ, როცა მის თამაშს უცქერდი, გიხაროდა, რომ იმასთან ერთად, შენც ქართველი იყავი!

ხვიჩა, მგონი, 1977 წელი იყო. მილანის „ინტერი“ ჩვენს „დინამოს“ ხვდებოდა. „ინტერში“ მაშინ მსოფლიოში სახელგანთქმული ცენტრალური მცველი ფაკეტი ზეობდა!

და აი, ბურთი მიიღო ყიფიანმა, ჩინებულად აუარა გვერდი მცველებს, ბოლოს ფაკეტიც მოიტოვა უკან, რომელიც წამიერად შეყოვნდა, თითქოს ვერ მოიაზრა, რა მოხდა, დაწევა ვეღარ ხერხდებოდა და ერთადერთი რამ შეეძლო, პენალტი „აეკიდა“ და, იქნებ, ვინ იცის, მეკარეს აეღო, მაგრამ ფაკეტი ღირსეულად მოიქცა, არ აკადრა თავის ტოლსა და სწორს მოცელვა!

ან ის რად ღირდა, ერთმა უცხოელმა, მგონი, სპორტულმა ჟურნალისტმა, მატჩის შესვენებისას, თუმცაღა მორიდებით, მაგრამ მაინც რომ მიაწოდა დავითს ასდოლარიანი კუპიურა, აქაოდა, თქვენთან მცირე ხელფასებს გაძლევენო.

პასუხად ყიფიანმა უყოყმანოდ გამოართვა კუპიურა, ავტოგრაფი წაუწერა, გაღიმებულმა დაუბრუნა და მადლობაც გადაუხადა სახეშეცვლილ ჟურნალისტს.

მიხეილ მესხის თამაშით აღფრთოვანებულმა პოეტებმა მუხრან მაჭავარიანმა და მურმან ლებანიძემ ლექსები მიუძღვნეს მას.

**მუხრან მაჭავარიანი:** „არც გარინჩა ვარ, არც პელე, არც მოყმე, ვეფხის ნატორი, ვარ ვინმე მესხი მელექსე, ბურთის პოემის ავტორი“.

**მურმან ლებანიძე:** „მე რომ შენი მუხლი მქონდეს, მე რომ შენი ფილტვი მომცა, უფრო მძლავრად ვიმღერებდი საქართველოს დასალოცად“.

რუსულ სპორტულ პრესაში მიხეილ მესხზე გამოჩნდა ფრაზა – „გარინჩა მტკვრისპირეთიდან“.

მიხეილ მესხი გაოცებული ამბობდა: „რატომ უნდა ვიყო მეორე პელე ან მეორე გარინჩა, მათ თავიანთი სახელი აქვთ, მე ჩემი – მიხეილ მესხი! უბრალოდ, ქართველი ფეხბურთელი ვარ და ჩემი სახელიც გამაჩნია და ჩემი გვარიც“-ო.

მგონი, წერა გამიგრძელდა, რა ვქნა, ვეღარ მეწერება მოკლედ და ლაკონიურად. მიუხედავად ამისა, მეიმედება, რომ პატივს დამდებ და ბოლომდე მომისმენ!

რამდენადაც ვიცი, ჯერ ოჯახს არ მოკიდებიხარ. მე მეგრული არ ვიცი, მაგრამ ქალ-ვაჟის შეფიცება მომეწონა თავის დროზე და დაიხსომე:

**ვაჟი: სქანი გოლუაფირო, თეშ მიორქი ჩქიმ დუდიშა მისხუნუქი!**

**ქალი: ხვიჩა, მა სკანოთ სანთელი ვორდა, ხატიშ წოხოლე ონდღულაფარი!**

ისეთი ბედი მოგცეს უფალმა, რომ მხოლოდ ერთისთვის გეთქვას ეს ფიცი!

ასევე, შენს გულისსწორსაც!

იხარე და ახარე შენი სანუკვარი მამული!



ბოლოს კი, ჩემმა მეგობარმა, ჩინებულმა პოეტმა **ირაკლი (ვახტანგ) ვაშაყმაძემ** ყველაზე ლამაზი წერტილი დაუსვა ჩემს სათქმელს.

**სიყვარულით,**
**გიზო ზარნაძე**
599538274

## შენ ქართველის გულს ახარებ!

შენ არა ხარ კვარადონა,
შენ ხარ კვარაცხელია,
საქართველოს სიყვარულით,
მაცხოვარის სიყვარულით, მზეჭაბუკო,
შენი გული მზისგულივით ცხელია!

შენ ქართული ჯიშისა ხარ,
შენ ქართული გონის ხარ,
ფარნავაზის, ქუჯის, ცოტნეს –
სისხლი, ხორცი მგონიხარ...
დავით აღმაშენებელის
მოლაშქრე ხარ, არწივო,
გმირთა დარად, საქართველო
უნდა გამოაბრწყინო!

შენ ქართველის გულს ახარებ,
მწუხარეს და ცრემლიანს,
უფლის შვილო, ერის შვილო –
ხვიჩა კვარაცხელიავ!

**ირაკლი ვაშაყმაძე**

# საკონკურსო წვეულება ბარსელონაში



**ბარსელონაში ევროვიზია 2023-ის პირველი წინასაკონკურსო წვეულება გაიმართა, რომელშიც 14 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის ირუ ხეჩანოვიც, რომელმაც ევროვიზიის საკონკურსო სიმღერა – ცოცხლად პირველად შეასრულა. კონცერტამდე ერთი დღით ადრე, ლურჯი ხალიჩის მიღება გაიმართა, სადაც ევროვიზიის მონაწილეებს ბარსელონის მერმა უმასპინძლა. პრომო ტურის ფარგლებში, ირუ 1 აპრილს თელ-ავივს, ხოლო 7 აპრილს მადრიდს ეწვევა, სადაც კიდევ ერთხელ იმღერებს ფართო აუდიტორიის წინაშე.**

რიგით 67-ე ევროვიზია 9, 11 და 13 მაისს, ქალაქ ლივერპულში გაიმართება. 2023 წლის ევროვიზიაზე 37 ქვეყანა იღებს მონაწილეობას.

* * *

**ევროვიზია 2023-ზე საქართველოს წარმომადგენლის, ირუს სცენოგრაფიაზე ავსტრიელი რეჟისორი მარვინ დიეტმანი იმუშავებს. დიეტმანი არაერთი გასართობი და საკონცერტო სატელევიზიო შოუს პროდიუსერი და რეჟისორია. მას ასევე გადაღებული აქვს 100-ზე მეტი მუსიკალური ვიდეო და არის მრავალი არტისტის მუსიკალური ტურნეს მთავარი რეჟისორი.**



მარვინ დიეტმანი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დაიბადა და მისი შემოქმედებითი კარიერა ექვსი წლის ასაკში მოცეკვავის ამპლუაში დაიწყო. 22 წლის ასაკში მან შექმნა საკუთარი სარეჟისორო შემოქმედებითი კომპანია, რის შემდეგაც დადგა 250-ზე მეტი სატელევიზიო შოუ 27 ქვეყანაში. საქართველო მაყურებლის წინაშე 11 მაისს, მეორე ნახევარფინალურ საღამოზე წარდგება. ტრადიციულად, ევროვიზიის საღამოს პირდაპირ ტრანსლაციას საქართველოს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

# როცა მსახიობი მწერალი ხდება



**„უცნაური ამბების“ ვარსკვლავი მილი ბობი ბრაუნი წიგნს გამოუშვებს.** ნაწარმოები სახელწოდებით „19 ნაბიჯი“ „სიყვარულის, დანაკარგებისა და საიდუმლოების ეპიკურ ისტორიას“ წარმოადგენს. წიგნის მთავარი გმირი 18 წლის ნელი მორისია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ოჯახთან ლონდონში, ბეტნალ-გრინში ცხოვრობს. სიუჟეტის მიხედვით, მას ამერიკელი პილოტი შეუყვარდება.

**„ამ ისტორიის შთაგონების წყარო ჩემი ბებია რუთია, ეს წიგნი ძალიან პირადულია ჩემთვის. ბებოს მიერ ომის შესახებ მოყოლილ ამბებზე გავიზარდე. ჩემთვის დიდი პატივია შემოვინახო მისი ისტორია“,** – აღნიშნა ბობი ბრაუნმა. „19 ნაბიჯი“ 2023 წლის 12 სექტემბერს გამოვა.

# ბრიტანული მონეტა „ჰარი პოტერის“ საიუბილეოდ




**დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანამ ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლის გამოსახულებით მონეტა გამოუშვა.**

მონეტა სხვადასხვა ნომინალშია წარმოდგენილი, მისი ფასი კი მასალის მიხედვით განსხვავდება – ლითონის მონეტა 11 გირვანქა, ოქროსი კი 5 215 გირვანქა ღირს. ჰოგვორტსის მონეტა ასრულებს „ჰარი პოტერის“ მოტივებზე შექმნილ კოლექციას, რომლის გამოშვებაც 2022 წელს, ჯოან როულინგის წიგნის „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ პირველი გამოცემის 25-წლის იუბილეს აღსანიშნავად დაიწყო. კოლექციის პირველ სამ მონეტაზე ჰარი პოტერი, პროფესორი დამბლდორი და მატარებელი „კინგსგროსია“ გამოსახული.

# ჰოლოდომორი გენოციდად აღიარეს

**საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ ჰოლოდომორი გენოციდად აღიარა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფრანგეთის ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. მომხრე იყო 168 დეპუტატი, ხოლო წინააღმდეგი – ორი.**

დამტკიცებული დოკუმენტის ტექსტში აღნიშნულია, რომ ხელოვნური მიზეზით გამოწვეულ შიმშილს, რომელსაც 1930-იან წლებში მძვინვარებდა საბჭოთა კავშირში, უკრაინაში განსაკუთრებული მასშტაბები ჰქონდა. საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიესალმა უკრაინის პრეზიდენტი. მისი თქმით, საფრანგეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტოტალიტარული რუსეთის წარსული და დღევანდელი დანაშაულებების მხილებაში. მანამდე 2022 წლის 30 ნოემბერს ჰოლოდომორი უკრაინელი ხალხის გენოციდად აღიარა გერმანიის ბუნდესტაგმა, ხოლო 2022 წლის 15 დეკემბერს ანალოგიური რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმაც. მოსკოვი ჰოლოდომორს უკრაინელი ხალხის გენოციდად არ აღიარებს და აცხადებს, რომ იმ პერიოდში, უკრაინის გარდა, ასევე დაზარალდა ცენტრალური აზიისა და რუსეთის მილიონობით მოქალაქე.



# სახელმწიფო ტერორი ეკლესიის წინააღმდეგ

სერბეთის მართლმადიდებლი ეკლესიის პატრიარქმა, პორფირემ უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გააძევოს მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინული ეკლესიის მღვდელმსახურები კიევ-პეჩერის ლავრიდან, „სახელმწიფო ტერორი“ უწოდა.

**„უკრაინის მოქმედი სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ლავრიდან გააძევოს მიტროპოლიტი ონოფრე, სამონასტრო ძმები და სასულიერო აკადემია, წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა სინონიმს ეკლესიის მიმართ საშინელი სახელმწიფო ტერორისა და ასევე, მისი ძირითადი უფლებების, რელიგიური თავისუფლებისა და სინდისის თავისუფლების უხეშ დარღვევას“,** – წერს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი.



ის უკრაინის ხელისუფლებას „ისტორიული წარსულის წაშლის“ მცდელობაში ადანაშაულებს. სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი პორფირე არ აღიარებს უკრაინის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. უკრაინის უმსხვილესმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც ომის დაწყებამდე „მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ სახელწოდებას ატარებდა, რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, სახელწოდებიდან „მოსკოვის საპატრიარქო“ ამოიღო.

ამ ეკლესიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მოსკოვთან კავშირი გაწყვიტეს, თუმცა უკრაინის ხელისუფლება და უკრაინის მოქალაქეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეკლესიის მღვდელმსახურებს პრორუსული განწყობები აქვთ. ბოლო თვეებში უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ბევრ ეპარქიაში ჩაატარეს ჩხრეკა, ხოლო მარტში ხელისუფლებამ მათი კიევ-პეჩერის ლავრიდან გაძევება გადაწყვიტა.

# „დისნეი“ თანამშრომლებს ათავისუფლებს

**ამერიკული კომპანია „დისნეი“ 7000 თანამშრომლის გათავისუფლებას გეგმავს.** დასაქმებულთა ჯგუფს შემცირების შესახებ უახლოეს დღეებში ეცნობება.

თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგი რაუნდი აპრილშია დაგეგმილი, კომპანია კი პროცესის დასრულებას ზაფხულისთვის გეგმავს. მანამდე კი, ამერიკულმა კომპანია „ამაზონმა“ 9000 დასაქმებული გაათავისუფლა.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

უაკ(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 3 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5764; ევრო - 2.7665;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1453;
100 რუბლი - 3.3585; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5182;
1000 სომხური დრამი - 6.6189

**ამინდი 30 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +6 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +5 |
| თბილისი: | ღამე | +4, | დღე +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge